



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ მაზმიშვილი

ანგარიშსწორებაში „სვიფტი“, „ფედვაიერი“ და „რეიტერის“ საინფორმაციო
სისტემა, საქართველოში რეალურ დროში გადარიცხვები RTGS (სს „ენერგო-
პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

თამარ გამსახურდია

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემები, მათი განვითარების და ფუნქციონირების ასპექტები. საერთაშორისო ანგარიშსწორება დღევანდელი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ნაწილია.

მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა ანგარიშსწორების სისტემები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასა და სრულფასოვნად ფუნქციონირებაში. მათ შორის გლობალურია SWIFT, გარდა იმისა, რომ იგი თავად არის ანგარიშსწორების სისტემა, ის ასევე წარმოადგენს ბაზას სხვა სისტემებისთვისაც. დოლარში ანგარიშსწორების სისტემებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია FedWire და CHIPS, ხოლო ევროში - TARGET და EURO1. საინფორმაციო სისტემების მიმართულებით ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია რეიტერს.

რეალურ დროში გადარიცხვები RTGS არის გადახდების ინდივიდუალურად ასახვის უწყვეტი პროცესი. რეალურ დროში გადარიცხვა ამცირებს საერთო სავარაუდო რისკს, რადგან ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, როგორც წესი, რეალურ დროში ხდება დღის განმავლობაში და არა მხოლოდ დღის ბოლოს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოს საგადახდო სისტემა ინტეგრირებულია სვიფტის სისტემაში და იგი იმავე პრინციპებზეა აგებული, როგორზეც მსოფლიოს წამყვანი საგადახდო სისტემები. ბოლო წლებში იგი საგრძნობლად განვითარდა, რაც მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

საქართველოში არსებული საგადახდო სისტემა ნაშრომში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზეა წამოდგენილი. კომპანია, საკუთარი მასშტაბებიდან გამომდინარე, ფართოდ იყენებს ანგარიშსწორების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსს და შესაძლებლობას. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ მაინც არსებობს გარკვეული შეუთავსებლობა ანგარიშსწორების სისტემის სტანდარტებსა და კომპანიის ანგარიშსწორების მეთოდებს შორის.

Abstract

Mariam Mazmishvili

Swift, Fedwire and Reuters Information System in settlement. Real-time transfers in Georgia RTGS (on example of JSC ENERGO-PRO Georgia)

At the Master's work reviewed the international settlement systems, aspects of their development and functioning. International settlement is an important part of the functioning of today's global economic system. It allows, that the settlement to be made safely, quickly and efficiently.

There are various settlement systems in the world that play a crucial role in developing international trade and full value functioning. Among them global is SWIFT, except that it itself is a payment system, it also serves as a base for other systems. FedWire and CHIPS are particularly important in the payment systems in dollars, and in the EUR - TARGET and EURO1. Reuters is one of the leading positions in information systems. Besides that, it distributes various financial information, it also possesses instruments for the perfect functioning of financial markets.

At the real-time transfers RTGS is an individual reflection in a continuous process of payments. At the real-time transfer reduces overall risk, since inter-bank payments are usually real-time during the day and not only at the end of the day. The important fact is that the Georgian payment system is integrated into the SWIFT system and it is built on the same principles as the world's leading payment systems. In recent years it has evolved significantly, which is important for a developing country like Georgia.

In the work the payment system in Georgia is discussed on example of JSC "ENERGO-PRO Georgia", one of the largest companies. The company, using its own scale, uses all the resources and ability necessary to effectively manage payments. However, the research showed that there is still some incompatibility between the payment system standards and the company's payment methods.

შინაარსი

ანოტაცია

Abstract

შესავალი	5
თავი 1. საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემები.....	9
1.1 საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემების ზოგადი ანალიზი.....	9
1.2. სვიფტი.....	22
1.3 ფედვაიერი.....	31
1.4 რეიტერი.....	37
თავი 2. საქართველოში რეალურ დროში გადარიცხვები.....	42
2.1 RTGS სისტემის დახასიათება, დანერგვა და განვითარება	42
2.2 გადარიცხვების თანამედროვე ტენდენციები და სტატისტიკური ინფორმაცია.....	56
თავი 3. გადარიცხვები რეალურ დროში „სს ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე.....	61
3.1 სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს გადარიცხვების სისტემა	61
3.2 ტრანზაქციების რაოდენობრივი ანალიზი სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“	71
3.3 კვლევის შედეგები.....	75
დასკვნა.....	78
გამოყენებული ლიტერატურა:.....	80

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა. საერთაშორისო ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების სისტემები მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისთვის. დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც მიმდინარეობს ქვეყნებს შორის ბარიერების ერთგვარი მოხსნა, საერთაშორისო ვაჭრობა ყოველდღიურობის ნაწილი გახდა და მის გარეშე ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება წარმოუდგენელი ხდება.

საერთაშორისო საგადახდო სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი მეშვეობით ხორციელდება ფინანსური ანგარიშსწორება სწრაფად, ეფექტურად და საიმედოდ, რაც ფინანსური და ფულადი ბაზრების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი წინაპირობაა და ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას.

საქართველოში დღესდღეობით ფუნქციონირებს ფულადი სახსრების საგადახდო სისტემები და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემები (საგადახდო ბარათების საპროცესინგო სისტემები). ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საგადახდო სისტემის - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის ოპერატორი ეროვნული ბანკია, რომელიც უზრუნველყოფს ბანკების, მათი კლიენტების და სამთავრობო გადარიცხვების დამუშავებას და ანგარიშსწორებას.

ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული ანგარიშსწორების სისტემები. სვიფტის სისტემის გამოყენებით ხდება ანგარიშსწორება როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტებში. იგი არის ყველაზე სანდო, დაცული და მოქნილი სისტემა. ფედერალის გამოყენებით ხდება ანგარიშსწორება აშშ დოლარში. მისი საიმედოობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი კონტროლდება ფედერალური სარეზერვო სისტემის მეშვეობით. საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საინფორმაციო სისტემები და მათ შორის რეიტერის საინფორმაციო სისტემა. სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად მისი საშუალებით ხორციელდება ვალუტით და დერივატივებით ვაჭრობის ოპერაციები.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ანგარიშსწორების სისტემის განხილვა. სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ეს სისტემა ახალი ფეხადგმულია, მაგრამ დინამიურად ვითარდება. დღესდღეობით ანგარიშსწორების ძირითადი საშუალება სწორედ უნაღლო ანგარიშსწორებაა. ნაშრომი მოიცავს იმ ძირითადი რეფორმების გაანალიზებას, რომლებიც ბოლო პერიოდში განხორციელდა, რომელთა მიზანიც იყო საქართველოში რეალურ დროში ანგარიშსწორების დანერგვა. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ანგარიშსწორებაში სვიფტის, ფედვაიერის და რეიტერის საინფორმაციო სისტემების, ასევე საქართველოში რეალურ დროში გადარიცხვების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე საკითხის სრულყოფის მიმართულებით დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში დაისახა შემდეგი ამოცანები: საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემების შესწავლა; საქართველოში ფუნქციონირებადი საგადახდო სისტემის როგორც ზოგადი განხილვა, ასევე „სს ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე რეალურ დროში გადარიცხვების გაანალიზება პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად რეკომენდაციების შემუშავების კუთხით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საგადახდო სისტემების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემები სვიფტი, ფედვაიერი, რეიტერის საინფორმაციო სისტემა და საქართველოში რეალურ დროში გადარიცხვები RTGS კონკრეტული სააქციო საზოგადოების მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისთვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია სამაგიდო კვლევის მეთოდი, ქვევით წარმოდგენილი ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიღებული მეორადი ინფორმაციის შეგროვების, შესწავლის, სისტემატიზაციის, ანალიზის და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საფუძველზე.

ხელმისაწვდომი ინფორმაცია ეფუძნება ანგარიშსწორების სისტემების ოფიციალური ვებ-გვერდებს და ანალიტიკურ მიმოხილვებს მათ შესახებ. საქართველოს შემთხვევაში, ძირითადად ორიენტირად აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული მიმოხილვები, წლიური ანგარიშები, ნორმატიული აქტები და მათ მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები. ასევე საქართველოს კანონი, საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“. ნაშრომი ასევე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგებიც გახდა დასკვნა რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები.

საერთაშორისო ანგარიშსწორება დღევანდელი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის საშუალებას იძლევა, რომ ანგარიშსწორება განხორციელდეს უსაფრთხოდ, სწრაფად და ეფექტურად. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ რომ, ქვეყანაში ანგარიშსწორების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა: საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი, რომელსაც ყველა ბანკი დაექვემდებარება, რაც უფრო მოხერხებულს გახდის საერთაშორისო გადარიცხვებს; მნიშვნელოვანია ბანკების მაღალ-ტექნოლოგიური განვითარება, რომ შეძლონ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება; საჭიროა ბანკებს შორის კონკურენციის გაზრდა და ამის ხელშეწყობა. კვლევის შედეგად გამოჩნდა რომ რეალურად, დღეს მოქმედ ბანკებს შორის მხოლოდ ორ წამყვან ბანკს შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს სრულყოფილი მომსახურება, სხვებს გარკვეული შეზღუდვები გააჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საერთაშორისო ანგარიშსწორება დინამიური სფეროა და ამიტომ საგადახდო სისტემები უნდა განიცდიდნენ მუდმივ განახლებას და ტექნოლოგიურ სრულყოფას. ისეთი ქვეყნების საგადახდო სისტემები, როგორც საქართველოა მუდმივად უნდა ცდილობდნენ რომ ფეხი აუწყონ წამყვანი სისტემების განვითარების ტენდენციებს.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 82 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის და ცხრა ქვეთავისგან. ნაშრომს თან ახლავს დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემები

1.1 საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემების ზოგადი ანალიზი

ყველა ეკონომიკაში ყოველდღიურად მრავალი ტრანზაქცია ხორციელდება. თითოეული ტრანზაქცია შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ეს არის საქონლის ან მომსახურების გადაცემა, ხოლო მეორე არის გადახდა ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. გადამხდელი არის პირი, რომელიც არის გადახდის ინიციატორი და გასცემს სახსრებს. ბენეფიციარი არის სახსრების საბოლოო მიმღები. ზოგადად ტერმინი "საგადახდო სისტემა" მოიცავს სრულ ინსტრუმენტებს, შუამავლებს, წესებს, პროცედურებს, პროცესებს და ბანკთაშორისი გადარიცხვების სისტემებს რომელიც ხელს უწყობს ფულის მიმოქცევას ქვეყანაში ან სავალუტო სივრცეში. ამისათვის, გადახდის სისტემა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს ან პროცესს:

1. გადახდის ინსტრუმენტები, ეს არის გადახდის უფლებამოსილების განხორციელების და წარდგენის საშუალება. მისი საშუალებით გადამხდელი ბანკს აძლევს ავტორიზაციას და ინსტრუქციას გადახდის განსახორციელებლად.
2. გადამუშავება, გულისხმობს გადახდის ინსტრუქციის გაცვლას ბანკებსა და ანგარიშებს შორის.
3. ანგარიშსწორება შესაბამის ბანკებში.

არაფულადი გადახდის სასიცოცხლო წრე შესაძლებელია შედმდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. გადახდის ინსტრუმენტის არჩევა და გადახდის ინსტრუქციის წარდგენა;
2. ბანკის შიდა გადამუშავება. გამგზავნი ბანკი ადასტურებს გადახდის ინსტრუმენტს, რათა დადგინდეს მისი სამართლებრივი და ტექნიკური

შესაბამისობა, ამოწმებს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობას, აღრიცხავს მას ბანკის შიდა სისტემაში და ამზადებს გადასარიცხად.

3. გადარიცხვის ბანკთაშორისი გადამუშავება.
4. გადარიცხვის ბანკთაშორისი ანგარიშსწორება. აქტივი გამგზავნი ბანკის ანგარიშიდან ირიცხება მიმღები ბანკის ანგარიშზე. ამ ეტაპზე ტრანსფერი უკვე ხდება საბოლოო.
5. ბანკის შიდა გადამუშავება. მიმღები ბანკი აკრედიტებს მიმღების ანგარიშს.
6. ინფორმაცია და კომუნიკაცია. ანგარიშის დაკრედიტების შემდეგ ბენეფიციარი იგებს საგადახდო დავალების და ანგარიშიდან ამონაწერის საშუალებით. (Payments, Securities and derivatives, And The Role of The Eurosystem, Tom Kokkola, European Central Bank, 2010)

თავად გადახდები მასში მონაწილე პირების მიხედვით შეიძლება 2 ნაწილად კლასიფიცირდეს:

1. საბითუმო გადახდები. ეს არის გადახდები ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. ისინი ჩვეულებრივ მაღალი ღირებულებისაა და მისი დროულად შესრულება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ის უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. მისი წილი გადახდების მთლიან მოცულობაში პატარაა, მაგრამ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ბაზრების სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

2. გადახდები არაფინანსურ ინსტიტუტებს შორის (მაგალითად კერძო შინამეურნეობები, არაფინანსური კორპორაციები და სამთავრობო ორგანიზაციები). ჩვეულებრივ ის მოიცავს საცალო გადახდების დიდ წილს მაგრამ აქვს დაბალი საშუალო ღირებულება ვიდრე საბითუმო გადახდებს. ზოგიერთ ქვეყანაში საცალო გადასახადები ხორციელდება სისტემებში, რომლებიც განკუთვნილია ორივე საცალო და საბითუმო გადახდებისთვის. (Payments, Securities and derivatives, And The Role of The Eurosystem, Tom Kokkola, European Central Bank, 2010)

გადახდები ასევე შეიძლება დაჯგუფდეს თითოეულ ტრანზაქციაში მონაწილე პირების რიცხვის მიხედვით.

1. ერთი ერთზე ტრანზაქციაში (one-to-one transaction) ერთი გადამხდელი ურიცხავს სახსრებს ერთ მიმღებს. ჩვეულებრივ ასეთია გადახდები მომხმარებლებს შორის, მომხმარებელს და ბიზნესს ან ბიზნესებს შორის.
2. ერთი მრავალს ტიპის ტრანზაქციაში (one-to-many transactions) ერთი გადამხდელი უხდის სახსრებს მრავალ მიმღებს ერთიანად. ასეთი გადახდებია როდესაც ორგანიზაცია იხდის ხელფასებს ან ხელისუფლება სოციალურ დახმარებას.
3. მრავალი ერთს ტიპის (many-to-one transactions) გადარიცხვაში მრავალი გადამხდელი უხდის სახსრებს ერთ მიმღებს. ასეთ გადახდებს მიეკუთვნება მაგალითად კომუნალურები ან გადასახადები. (Payments, Securities and derivatives, And The Role of The Eurosystem, Tom Kokkola, European Central Bank, 2010)

საბოლოოდ საერთაშორისო ანგარიშსწორების ჭრილში გადახდები ხორციელდება ორგვარად : სუფთა გადახდები და დოკუმენტური გადახდები .

სუფთა გადახდების დროს ყველა ვაჭრობისთვის საჭირო და სატრანსპორტო დოკუმენტი პირდაპირ იცვლება პარტნიორებს შორის. ამ დროს თანხის გადარიცხვისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ზოგადი დანიშნულების გადახდის ინსტრუმენტები.

დოკუმენტური გადახდების დროს საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორები ვაჭრობისთვის საჭირო დოკუმენტებს წარადგენენ ბანკების საშუალებით. ექსპორტიორი წარუდგენს თავის მომსახურე ბანკს, ხოლო იმპორტიორი თავის მხრივ თავის მომსახურე ბანკს და შემდეგ ხდება ბანკთაშორის კომუნიკაცია. ეს ხდება დოკუმენტური ინსტრუმენტების გამოყენებით როგორცაა საკრედიტო წერილი, საბანკო გარანტია.

საერთაშორისო ვაჭრობის დროს ანგარიშსწორება ხორციელდება 5 ძირითადი ფორმით:

1. წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორება;
2. ანგარიშსწორება ღია ანგარიშით;
3. დოკუმენტური აკრედიტივი;
4. დოკუმენტური ინკასო;

5. გაყიდვები კონსიგნაციის პირობით. (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N166 საქართველოში უნაღლო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ)

წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების გამოყენებით, ექსპორტიორმა შესაძლოა თავიდან აიცილოს საკრედიტო რისკები, რადგან გადახდა სრულდება საქონლის საკუთრებაში გადაცემამდე. ამ სიტუაციაში ექსპორტიორი თავისუფლდება თანხის ამოღების პრობლემებისგან და შეუძლია ფულის მყისიერი გამოყენება. წინასწარი გადახდა მყიდველისთვის ქმნის ფულის რეზერვის საჭიროებას და ასევე ზრდის რისკს. მყიდველები ხშირად წუხან, რომ წინასწარი გადახდის შემთხვევაში, საქონელი არ გაიგზავნება. ექსპორტიორები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ გადახდის ეს მეთოდი ერთადერთია ბიზნესის წარმოებისას, შესაძლოა არაკონკურენტულ პოზიციაში აღმოჩნდნენ იმათთან შედარებით, რომლებიც გადახდის უფრო მოქნილ პირობებს გვთავაზობენ. წინასწარი ნაღდი ანგარიშსწორების გამოყენება მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში: ა) მაღალი რისკის მქონე სავაჭრო ურთიერთობებში ან ბაზრებზე, აგრეთვე, ინტერნეტ-ბიზნეს საქმიანობისთვის; ბ) იმპორტიორის კრედიტუნარიანობა თუ საექვოა გ) იმპორტიორის წარმომავალი ქვეყნის პოლიტიკური და კომერციული რისკები ძალიან მაღალია; დ) იმპორტიორი ოპერირებს ინტერნეტ-ბიზნესში, სადაც საკრედიტო ბარათით ანგარიშსწორება უნდა იყოს კონკურენციის საგანი.

ღია ანგარიშით ბიზნეს საქმიანობისას ხდება საქონლის გადაზიდვა და მიწოდება ანგარიშსწორების ვადამდე, რომელიც ძირითადად 30-დან 90 დღემდეა. აქ ექსპორტიორი მნიშვნელოვანი რისკის ქვეშაა, რადგან საქონლის გადაზიდვის შემდეგ შესაძლოა მოხდეს გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა. ღია ანგარიშის პირობები შესაძლოა შეთავაზებულ იქნას კონკურენტუნარიან ბაზრებზე ერთი ან რამდენიმე სავაჭრო საფინანსო მეთოდის გამოყენებით: (ა) ექსპორტის საბრუნავი კაპიტალის ფინანსირება; (ბ) მთავრობის მიერ გარანტირებული საბრუნავი კაპიტალის პროგრამები; (გ) საექსპორტო საფინანსო დაზღვევა; (დ) საექსპორტო ფაქტორინგი.

დოკუმენტური აკრედიტივი-ესაა ბანკის (ბანკი ემიტენტი) წერილობითი, პირობითი ვალდებულება, რომელიც გაიცემა მისი კლიენტის (იმპორტიორის ანუ მყიდველის)სახელით ბენეფიციარის (ექსპორტიორის, ანუ გამყიდველის) სასარგებლოდ მასზედ, რომ მოწოდებული საქონლისა და მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მის მიერ გარკვეულ ვადაში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. აკრედიტივის გამხსნელი ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს გადახდა ან ეს უფლებები გადასცეს სხვა ბანკს (კორესპონდენტ ბანკს) იმ პირობით, თუ გამყიდველის მიერ წარდგენილი იქნება აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტები. (ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - „თანამედროვე საბანკო საქმე:თეორია და პრაქტიკა“, გვ. 294)

აკრედიტივები წარმოადგენს უცხოური ოპერაციების დაფინანსების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ინსტრუმენტს. ძირითადად იყენებენ ორი ტიპის აკრედიტივს : კომერციულ დოკუმენტურ აკრედიტივსა და სარეზერვო აკრედიტივს.

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება გამყიდველიდან მყიდველისთვის საქონლის გაგზავნის დაფინანსება. კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი არის წერილი, რომელიც ბანკის მიერ გამოიწერება საქონლის გამყიდველზე (ბენეფიციარზე) თავად ამ ბანკის ან მისი კლიენტის (საქონლის მყიდველის სახელით). აკრედიტივის მიხედვით, გარკვეული პირობების შესრულების შემდგომ, გამყიდველს უფლება ეძლევა გამოწეროს გადასაყვანი თამასუქები დადგენილი მოცულობის თანხებზე. ამის შემდგომ, ის იღებს თანხებს ამ თამასუქების მიხედვით. ბენეფიციარს უნარდებენ თამასუქებს მხოლოდ ბანკის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ.კომერციული აკრედიტივები გამოიწერება გამოთხოვის უფლებით (გამოთხოვადი აკრედიტივი) და გამოთხოვის უფლების გარეშე (გამოუთხოვადი აკრედიტივი). გამოუთხოვადი აკრედიტივი წარმოადგენს ისეთ აკრედიტივს, რომლის პირობები არ შეიძლება შეიცვალოს ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე და პირიქით, გამოთხოვადი აკრედიტივი არის ისეთი აკრედიტივი, რომელიც შეიძლება გაუქმდეს , ან რომლის პირობებიც შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს გამომწერი ბანკის მიერ. ამასთან ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ შეატყობინოს ბენეფიციარს.

სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, გამომწერი ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს დადგენილი თანხა იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ამასთან, სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული გარიგებების წარმოებისას, მაგრამ უშუალოდ არ არის დაკავშირებული გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის გადაზიდვასთან.

დოკუმენტური ინკასო-ესაა საბანკო ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ბანკი თავის კლიენტის (ექსპორტიორის) მინდობილობის საფუძველზე ახდენს ამ კლიენტის კუთვნილი სახსრების მიღებას გადამხდელისგან (იმპორტიორისგან) საანგარიშსწორებო საბუთების საფუძველზე, ანუ ბანკი იღებს ვალდებულებას -ინკასოზე გადააგზავნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები გადამხდელის ბანკში, რომელიც ამ დოკუმენტებს, თავის მხრივ, გადასცემს გადამხდელს (აქცეპტზე ან გადახდაზე). (ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე -„თანამედროვე საბანკო საქმე:ტეორია და პრაქტიკა“, გვ. 296).

დოკუმენტური ინკასო მიზანშეწონილია, როდესაც: იმპორტიორსა და ექსპორტიორს აქვთ ნდობა და ერთად მუშაობის გამოცდილება; მყიდველის გადახდისუნარიანობა და გადახდის სურვილი არ არის საეჭვო; იმპორტიორის ქვეყანაში არის სტაბილური პოლიტიკური, ლეგალური და ეკონომიკური გარემო; არ არსებობს იმპორტის აკრძალვები იმპორტიორი მხარის ქვეყანაში და ყველა საჭირო ლიცენზია უკვე არსებობს. დოკუმენტური ინკასოს უპირატესობებია: ექსპორტიორს აქვს საშუალება შეინარჩუნოს კონტროლი გადამხდელის მიერ გადახდის, ან თამასუქის მიღებამდე; ოპერაციის შესრულება მარტივი და იაფია; გადახდა ხშირად უფრო სწრაფად სრულდება ვიდრე ღია ანგარიშის შემთხვევაში.

საერთაშორისო კონსიგნაციით გაყიდვების დროს წარმოებს იგივე პროცედურები რაც ადგილობრივ ბაზარზე. მასალები ექსპორტიორის სახელით მიეწოდება უცხოელ დისტრიბუტორს გასაყიდად. ექსპორტიორი ინარჩუნებს საქონლის მფლობელის უფლებას, მანამ სანამ დისტრიბუტორი გაყიდის პროდუქციას. პროდუქციის გაყიდვისთანავე გადასახადი იგზავნება ექსპორტიორთან. ამ მეთოდის გამოყენებით ექსპორტიორი დიდი რისკის ქვეშაა.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმებიდან საქართველოში თითქმის ყველა აქტიურად გამოიყენება, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის უფრო მეტად განვითარებას. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორება. იგი გამოსაყენებლად ყველაზე მარტივია კომპანიებისთვის. საავანსო გადახდის პირობები უმთავრესად რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ხელშეკრულებებში ძირითადად მითითებულია რომ ავანსის გადახდამდე არ მოხდება საქონლის მიწოდება. საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებადი კომერციული ბანკები(მათ შორის: საქართველოს ბანკი¹, თიბისი ბანკი,² ტერა ბანკი³) ხშირად გასცემენ საავანსო გადახდის საბანკო გარანტიებს. საბანკო გარანტიები ამცირებს გადამხდელისთვის ავანსის გადახდის რისკს, რადგან საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში გადახდილ თანხას ბანკი ანაზღაურებს. ასევე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე გამოიყენება დოკუმენტური აკრედიტივი. დოკუმენტური აკრედიტივის დახმარებით შესაძლებელი ხდება საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების წარმოება, რომელიც აადვილებს საქონლის ან მომსახურების გადახდას. დოკუმენტური აკრედიტივი ⁴ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას გადაუხადოს საქონლის ან მომსახურების გამყიდველს განსაზღვრული თანხა აკრედიტივის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ როლს კომერციული ბანკები თამაშობენ. საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებადი ბანკებიდან აღნიშნულ ოპერაციას აქტიურად ახორციელებენ საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ბაზის ბანკი, ტერაბანკი და ვითიბი ბანკი⁵. კომერციული ბანკები ასევე ახორციელებენ დოკუმენტურ ინკასოსთან დაკავშირებულ ოპერაციებს. მისი პირობები რეგულირდება ინდივიდუალურად ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. მისი გამოყენება კლიენტებისთვის

¹ წყარო - <https://bankofgeorgia.ge/retail/ge/business/guarantees>

² წყარო - <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/fees-for-legal-entities>

³ წყარო - <https://terabank.ge/ge/business/trade-operations/bank-guarantee>

⁴ წყარო - <https://bankofgeorgia.ge/corporate/ge/credit-products/international-trade-transactions/d>

⁵ წყარო - <http://ge.vtb.com.ge/corporate/documentary/loc/>

წარმოადგენს უპირატესობას, რადგან ტრანზაქციის ფასები დაბალია და ოპერაცია მთლიანობაში მარტივია.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის საქართველოს ბაზარზე ნაკლებად, თითქმის არ გამოიყენება ანგარიშსწორება ღია ანგარიშით და გაყიდვები კონსიგნაციის პირობით. აღნიშნული ოპერაციები უფრო მეტ რისკთანაა დაკავშირებული უცხოელი პარტნიორებისთვის. საბოლოო ჯამში, იმისათვის რომ საქართველოში განვითარდეს საერთაშორისო ვაჭრობა და იყოს კონკურენტუნარიანი საჭიროა რომ განვითარდეს ანგარიშსწორების სხვადასხვა ფორმები, რათა ქართველ პარტნიორებთან ურთიერთობა მათთვის მარტივი და ხელმისაწვდომი იყოს.

მსოფლიოში დღეს მოქმედი ბანკთაშორისი ანგარიშსწორების საერთაშორისო ელექტრონული სისტემები იყოფა ორ ნაწილად: საბანკო შეტყობინების ელექტრონული სისტემები (სშეს) და საბანკო ანგარიშსწორების საერთაშორისო ელექტრონული სისტემები (სსეს).

განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ სშეს-ს საშუალებით ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა ელექტრონული გაცვლა (EDI) საანგარიშსწორებო დოკუმენტების ოპერაციული გადაგზავნა და შენახვა (გადახდების რეგულირებას აწარმოებენ თვითონ ბანკები), ხოლო სსეს-ს ფუნქციები უშუალოდ არის დაკავშირებული წევრების ურთიერთვალდებულებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფასთან. იგი წარმოადგენს ფონდების ელექტრონულ გადარიცხვების სისტემას (EFT), რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის მოძრაობა ელექტრონულ რეჟიმში ორ ბანკს შორის, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისეთი სისტემები როგორებიცაა SWIFT და BankWire (აშშ-ს ბანკების კერძო ელექტრონული ქსელი), ხოლო მეორე კი FedWire (აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ქსელი), CHIPS (ნიუ-იორკის საერთაშორისო საგადამხდელო-საანგარიშსწორებო სისტემა), CHAPS (ლონდონის საგადამხდელო პალატების ავტომატური სისტემა).

აშშ-ში მოქმედი ელექტრონული სისტემებიდან ყველაზე დიდებია FedWire და CHIPS. ისინი ემსახურებიან აშშ-ს ყველა შიდა საბანკო ანგარიშსწორების დაახლოებით 90%-ს.

FedWire წარმოადგენს ყველაზე დიდ საკომუნიკაციო საბანკო ქსელს. ფედერალური სარეზერვო სისტემის FedWire-ში მონაწილეობს დაახლოებით 6 ათასამდე საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტი. ამ სისტემის მუშაობის პრინციპი იდენტურია თვით ფედერალური სარეზერვო სისტემის მუშაობის პრინციპისა. ყოველი ბანკი მონაწილეობს სისტემაში თავისი რეგიონალური ფედერალური სარეზერვო ბანკის მეშვეობით. მოქმედებს რა თავისი ან კლიენტის სახელით, ერთი ბანკი უბრალოდ გადაიტანს სახსრების ნაწილს თავისი სარეზერვო ანგარიშიდან ბანკი-ბენეფიციარის სარეზერვო ანგარიშზე, რომელიც თავის მხრივ იღებს ამ სახსრებს ან თვითონ ან ბენეფიციარის სასარგებლოდ. ანგარიშსწორების აღნიშნულ მეთოდს მივყავართ იქამდე, რომ FedWire-ს მონაწილე ბანკების ანგარიშებზე სახსრები დღის განმავლობაში აკეთებენ თორმეტ ბრუნამდე. ბანკების დონეზე ანგარიშსწორება ხორციელდება პრაქტიკულად დაუყოვნებლივ – ერთი ბანკის სარეზერვო ანგარიში დებეტდება, ხოლო მეორესი კრედიტდება.

სისტემამ CHIPS დაიწყო მუშაობა 1970 წელს. ნიუ-იორკის ბანკების ელექტრონული ქსელის აუცილებლობა გამოწვეული იყო საერთაშორისო გადარიცხვების რაოდენობის სწრაფი ზრდიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ ყველა გადარიცხვის განხორციელება ერთ სისტემაში ძალიან გაძნელებული იყო CHIPS სისტემა შემუშავდა როგორც დეცენტრალიზებული. ყველა მონაწილე ბანკიდან ყველა დანარჩენს შორის ანგარიშსწორების განსახორციელებლად ამორჩეულ იქნა 12 უმსხვილესი ბანკი. CHIPS სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ ბანკი, რომლის კაპიტალიც არ არის 250 000 აშშ დოლარზე ნაკლები. CHIPS ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს განყოფილება ნიუ-იორკში, რომელიც შეერთებული უნდა იყოს ანგარიშსწორების მონაწილე ბანკების საანგარიშსწორებო ცენტრებთან. ამ დროს ბანკთაშორისი ვალდებულებები და მოთხოვნები არ ტარდება დაუყოვნებლივ ელექტრონული შეტყობინების შემდგომ, არამედ გროვდება სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის დამთავრების შემდგომაც გამოიყვანება ბალანსი. საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება სისტემის მონაწილე ბანკებს შორის ნიუ-იორკის

სარეზერვო ფედერალურ ბანკში გახსნილ სარეზერვო ანგარიშების მეშვეობით – FedWire-ის საშუალებით. (Payment Systems in United States , CPSS. Red Book ,2003)

ასე და ამგვარად CHIPS -ის მონაწილე საანგარიშსწორებო ბანკები ასრულებენ იგივე ფუნქციებს, რასაც ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაწილე სარეზერვო ბანკები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გადარიცხვები არ სრულდება დაუყოვნებლივ. ურთიერთვალდებულების დაგროვების სისტემა მოხერხებულია მონაწილე ბანკებისათვის, რადგან ყველა გადახდა რეგულირდება ერთი დღის განმავლობაში. ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი დღის ბოლოს ადგენს ბანკების სარეზერვო პოზიციებს.

მაგრამ ბანკების კლიენტებისთვის ასეთი სისტემა ქმნის გარკვეულ უხერხულობებს, რადგან ბენეფიციარს შეუძლია თანხის მიღება მხოლოდ საღამოს 6 საათის შემდეგ. მიუხედავად ამისა აღნიშნული სისტემა საჭიროა, რადგან დღის განმავლობაში განხორციელებული გადარიცხვები 900 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით დადის რამოდენიმე საბოლოო გადარიცხვამდე 5-6 მილიარდ აშშ დოლარამდე.

მსოფლიოს მასშტაბით ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემები გამოყენება. ისინი განსხვავებულია ქვეყნების დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. ანგარიშსწორების გლობალური სისტემა არის SWIFT. მას ჰყავს 200 ქვეყნის 7,5 ათასი მომხმარებელი, მის ბაზაზეა შექმნილი სხვა ანგარიშსწორების სისტემები. აშშ-ში დოლარში განხორციელებული ტრანზაქციებისთვის გამოიყენება რამოდენიმე ანგარიშსწორების სისტემა.

1999 წლის იანვარში ევროს შემოღებამდე ევროზონაში, მოქმედებდა მხოლოდ მათი შიდა ვალუტა და ევროკავშირში საზღვრის გადაკვეთის გადახდების ძირითადი მეთოდი იყო კორესპონდენტი ბანკის მეშვეობით.

1999 წლის 1 იანვრიდან ევროს შემოღებით, შეიცვალა ევროს ტერიტორიაზე გადახდის მომსახურების გაწევა. არსებობა ერთიანი ვალუტით იმას ნიშნავდა, რომ ევროზონის საზღვრებში გადახდისპრინციპი არ განსხვავდება კონკრეტულ ქვეყანაში გადახდებისაგან. ერთიანი მონეტარული პოლიტიკა მოითხოვს ერთი ფულის ბაზრის შექმნას ევროზონის ყველა ქვეყნისთვის. ერთიანი ფულის ბაზარი ძალიან გამარტივდა. მთელ ტერიტორიაზე

შეიქმნა RTGS სისტემა - TARGET ევროში გადაუდებელი მსხვილი გადახდებისათვის. იგი იმართებოდა ცენტრალური ბანკის მიერ.

ევროს წარდგენის დროს სულ ფუნქციონირებდა 6 დიდი ევროში მოქმედი საგადახდო სისტემა. ორი მათგანი, TARGET და EURO1, მოქმედებდა მთელ ტერიტორიაზე. დარჩენილი ოთხი უფრო ლოკალიზებული იყო: EAF გერმანიაში, PNS საფრანგეთში, SPI ესპანეთში და POPS ფინეთში. ამ ოთხიდან ყველაზე დიდი იყო EAF, რომლის საშუალებითაც 1999 წელს დღეში საშუალოდ 50,000 გარიგება ხორციელდებოდა, საშუალო დღიური გარიგების ღირებულება 150 მილიარდ ევროს შეადგენდა. მას მოჰყვებოდა PNS, რომლის საშუალო დღიური ბრუნვა 20,000 ტრანზაქცია იყო, ხოლო საშუალო დღიური გარიგების ღირებულება 90 მილიარდ ევროს შეადგენდა. საშუალო დღიური გარიგება SPI და POPS ღირებულებები დაახლოებით 4 მილიარდ ევროს და 1 მილიარდ ევროს შეადგენდა. EAF-მა ფუნქციონირება შეწყვიტა 2001 წლის ნოემბერში, SPI-მა 2004 წლის დეკემბერში ხოლო PNS 2008 წლის თებერვალში.

ევროზონაში მოქმედ სისტემებს შორის 2 ძირითადი გამოიყოფა : TARGET და EURO1. TARGET არის საკლირინგო RTGS სისტემა, რომელიც ევროში ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება. იგი ახორციელებს მხოლოდ საკრედიტო ანგარიშსწორებას. მისი ძირითადი ამოცანაა ევროს ზონის ტერიტორიაზე ფულადი ნაკადების მოძრაობის უზრუნველყოფა. მას ახასიათებს მინიმალური საფასური, უსაფრთხოების მაღალი დონე და ოპერაციის მოკლე დროში ჩატარება. აქცენტს აკეთებს მსხვილ ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო და ფულად ბაზრებზე განხორციელებულ ოპერაციებთან. იგი ექსპლუატაციაში 1999 წლიდან შევიდა. ამ სისტემის დამაკავშირებელი ტექნიკური პლატფომის სახით გამოიყენება სვიფტი. TARGET-ის სისტემა ახორციელებს შემდეგი სახის ოპერაციებს : ანგარიშსწორება, რომელიც დაკავშირებულია ცენტრალური ბანკების ოპერაციებთან; საკლირინგო სისტემების ანგარიშსწორების ოპერაციები და ბანკთაშორისი და კომერციული ანგარიშსწორებები ევროში. EURO1 არის ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც განკუთვნილია კომერციულ ბანკებს შორის მსხვილი ანგარიშსწორებისთვის ევროში. იგი ფუნქციონირებს იურიდიული შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გერმანული

კანონმდებლობის ფარგლებშია დადებულია, რომლის თანახმადაც სისტემის ყველა მონაწილეს ყოველდღე განსაზღვრულ დროს აქვს მხოლოდ ერთი საგადახდო მოთხოვნა ან მოვალეობა სხვა წევრებთან. EURO 1-ის მონაწილე ბანკები საგადახდო დავალებებს უგზავნიან ერთმანეთს სვიფტის სისტემის მეშვეობით. (Payment Systems in EURO area, CPSS, 2003)

EURO1 სისტემაში გადახდის შეტყობინებები ინდივიდუალურად მუშავდება. დამუშავების პროცესში მოწმდება როგორც გამგზავნი ასევე მიმღები მხარის პოზიციები და თუ შესაძლებელია განხორციელდება პოზიციების მორგება. თუ პოზიციების კორექტირება გამოიწვევს მიმღების მონაწილის სადეპოზიტო ლიმიტის ან მიმღების მონაწილეთა საკრედიტო ლიმიტის დარღვევას, გადახდის შეტყობინება არ იქნება დამუშავებული, მაგრამ მოთავსდება რიგში. რიგი მუდმივად განიხილება და მოწმდება შესაძლებელია თუ არა შეტყობინების შემდეგი დამუშავება. სისტემა ფუნქციონირებს FIFO პრინციპით. გადამხდელს შეუძლია გააუქმოს გადახდის , შეტყობინება სანამ ის დამუშავების პროცესშია. სისტემა ამუშავებს გადახდებს MT 103 , MT 202, , MT 400 და MT 204 მეთოდებით. გადახდის შეტყობინებები მიიღება ცენტრალური სისტემის მიერ, რომელიც იყენებს SWIFT'-ის FIN-Copy სერვისს. სისტემა ფუნქციონირებს 7:30-დან 16:00 საათამდე. ყველა მონაწილეს აქვს წვდომა ინტერაქტიულ სამუშაო ადგილთან, რომელიც აწვდის ინფორმაციას რეალურ დროში ონლაინ ან API-ის საშუალებით. მათ შორის: ბანკის პოციზია, ლიმიტები და ნებისმიერი ფულადი გადახდები, რეპორტები დღის განმავლობაში და დღის ბოლოსთვის განხორციელებული და ჯერ კიდევ დასამუშავებელი გადახდების შესახებ.(Payment Systems in EURO area, CPSS, 2003)

TARGET2 არის რეალურ დროში გადახდების სისტემა (RTGS). მას ფლობს და ახორციელებს ევროსისტემა. ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გადახდებში მაგრამ მთლიანობაში სისტემა ფუნქციონირებს ცენტრალურ ბანკებში განთავსებული თანხების საშუალებით. TARGET2 -ის ხორციელდება გადახდები რომლებიც დაკავშირებულია ევროსისტემის მონეტარულ პოლიტიკასთან, ასევე ბანკთაშორის და კომერციულ ტრანზაქციებთან. ყოველ ხუთ დღეში ერთხელ TARGET2

ინარჩუნებს ღირებულებას ახლოს ევროზონის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რაც მას ქმნის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საგადახდებლო სისტემად. 1,000-ზე მეტი ბანკი იყენებს TARGET2- ს, განახორციელოს გარიგებები ევროში, ან საკუთარი სახელით ან მათი მომხმარებლის სახელით. ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების გათვალისწინებით, მსოფლიოს მასშტაბით 52,000-ზე მეტი ბანკისა და ყველა კლიენტის მიღება შესაძლებელია TARGET2- ის მეშვეობით. ბაზრის მოთხოვნების ცვლილების საპასუხოდ, ევროსისტემამ დაიწყო RTGS სერვისების მიმოხილვა. მიზანია TARGET2- ის ტექნიკური და ფუნქციური ასპექტების კონსოლიდაცია ეფექტურობის გაუმჯობესებისა და საოპერაციო ხარჯების შემცირების მიზნით. TARGET2- ს აქვს ლიკვიდურობის ეფექტურად მართვის შესაძლებლობა, მათ შორის გადახდის პრიორიტეტები, დროული ოპერაციები, ლიკვიდურობის რეზერვაციის საშუალებები, ლიმიტები, ლიკვიდურობის დაბალანსება და ოპტიმიზაციის პროცედურები. TARGET2 ღიაა გადასახადების გადამუშავებისათვის ყველა სამუშაო დღის 07:00 საათიდან 18:00 სთ-მდე. სისტემა დახურულია შემდეგ დღეებში: 1 იანვარი (ახალი წელი), წითელი პარასკევი, აღდგომის ორშაბათი, 1 მაისი (შრომის დღე), 25 დეკემბერი (შობა) და 26 დეკემბერი. (Payment Systems in EURO area, CPSS, 2003)

საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემების ზოგადი ანალიზისას განხილულია პირველ რიგში საგადახდო სისტემის არსი, მისი ფუნქციონირების მექანიზმი და მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ამასთანავე, გაანალიზებულია მსოფლიოში არსებული განვითარებული ანგარიშსწორების სისტემები. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ დოლარში ან ევროში ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება. SWIFT კი თავის მხრივ წარმოადგენს გლობალურ სისტემას, რომელიც სხვადასხვა ვალუტაში ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა და ამასთანავე წარმოადგენს ბაზას სხვა სისტემებისთვისაც. ნაშრომში დეტალურადაა განხილული რამდენიმე, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ანგარიშსწორების სისტემა. ქვემოთ დეტალურაა განხილული რამდენიმე ანგარიშსწორების სისტემა.

1.2. სვიფტი

ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორის საზოგადოება (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication), რომელიც ეკონომიკურ წრეებში ცნობილია სვიფტის (SWIFT) სახელწოდებით, წარმოადგენს მძლავრ კომპანიას, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშსწორების ოპერაციებს სრულად ავტომატიზებულ მონაცემთა დისტანციური გადაცემის სისტემის მეშვეობით. იგი დაფუძნებული იქნა 1973 წელს 15 ქვეყნის 239 ბანკის მიერ. შემდგომ მას შეუერთდა ასეულობით საბანკო და ფინანსური დაწესებულება, ხოლო საუკუნის მიწურულს მათმა რიცხვმა უკვე 3000-ს გადააჭარბა. ანგარიშსწორების ოპერაციათა განხორციელების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით სვიფტს გააჩნია რიგი უპირატესობანი:

- **სისწრაფე:** მონაცემთა გადაცემის დრო ბანკიდან ბანკამდე მინიმუმამდეა დაყვანილი.
- **საიმედოობა:** სპეციალური სტანდარტიზაციისა და საკონტროლო ელემენტების წყალობით მონაცემთა გადაგზავნის ყალბი ინტერპრეტაცია ან დამახინჯება პრაქტიკულად გამორიცხულია.
- **ეკონომიურობა:** სისტემა ფუნქციონირებს და მუშაობს დოკუმენტების გარეშე, მნიშვნელოვნად ამცირებს ზედმეტად შრომას და იწვევს ოპერაციათა ჩატარების რაციონალიზაციას.

სვიფტში ოპერაციების ჩასატარებლად საჭიროა ინსტრუქციის მიმცემი ბანკი და შემსრულებელი ბანკი წარმოადგენდნენ სვიფტის სისტემის წევრებს და გაცვალონ ამ სისტემით მიღებული დაშიფრული სატესტო გასაღებები (Authentication Keys). ეს საშუალებას აძლევს ნებისმიერ ბანკს აწარმოოს ანგარიშსწორება მეორე ბანკთან საგრძნობლად გაიოლებული და მოსახერხებელი მეთოდებით. სვიფტი სრულფასოვან საქმიანობას წარმართავს 1977 წლიდან. მისი მთავარი ადმინისტრაციული შენობა განლაგებულია ბრიუსელში, ხოლო ორი ძირითადი საანგარიშსწორებო ცენტრი მდებარეობს ჰოლანდიასა (ემსახურება აღმოსავლეთ ნახევარსფეროს) და აშშ-ში (ემსახურება

დასავლეთ ნახევარსფეროს). სვიფტის წევრი ბანკების უმეტესობა მისი აქციონერიცაა. სვიფტის სახელწოდებაში სიტყვა “ბანკთაშორისი” პირობითად იქცა, ვინაიდან 1987 წლიდან იგი ღია არასაბანკო დაწესებულებებისთვისაც, როგორცაა საინვესტიციო კომპანიები, დეპოზიტური და კლირინგული ორგანიზაციები, მსოფლიოში აღიარებული ბირჟები, სატრასტო სამსახურები, სამგზავრო ჩეკების ემიტენტი კომპანიები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და სხვ.

სვიფტში ოპერაციების წარმოება შემდეგ ტიპებს აერთიანებს: 1) გადახდები და ანგარიშსწორებები; 2) სავალუტო გარიგებები, ფულადი ბაზრები და მისი ელემენტები; 3) ფასიანი ქაღალდები; 4) სავაჭრო-კომერციული მომსახურებები.

სვიფტის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგია:

- წევრი ბანკები კოლექტიურად ახორციელებენ ორგანიზაციის საქმიანობის მართვას 25 კაციანი დირექტორთა საბჭოს მეშვეობით, რომელიც იკრიბება სულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ. რაც შეეხება ყოველდღიურ საქმიანობას, კონტროლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ საბჭოს მიერ განსაზღვრულ პირებს;
- საბჭო აგრეთვე აყალიბებს მუშა ჯგუფებს, რომლებიც საბჭოს წევრებისგან შედგებიან და გამოზნული აქვთ განახორციელონ მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების მართვა;
- დიდი მნიშვნელობა აქვთ ე.წ. ნაციონალურ წევრთა ჯგუფებს, რომლებიც საბჭოს წინაშე წარადგენენ საკუთარ შეხედულებებს ყოველი კონკრეტული რეგიონის ან ქვეყნის ფარგლებში განსახორციელებელი პოლიტიკისა და სტრატეგიის შესახებ;
- მომხმარებელთა ჯგუფები ორიენტირებულნი არიან სვიფტის პროდუქციასა და მართვის მოთხოვნებზე. (SWIFT’s organisation and governance)⁶

სვიფტის მუშაობის შეჯამებასა და მომავალი საქმიანობის პერსპექტიულ დაგეგმვას ახორციელებს აქციონერთა საერთო კრება, რომლის მოწვევა ხდება წელიწადში ერთხელ. ასევე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სვიფტში შემავალი ორგანიზაციების მონაწილეობით მოწყობილ ყოველწლიურ ფორუმს SIBOS-ი რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გამოფენას


⁶ წყარო - <https://www.swift.com/about-us/organisation-governance>

უახლესი საბანკო ტექნოლოგიების სფეროში. სვიფტის მნიშვნელობა იმითაც გამოიხატება, რომ იგი მომხმარებელს უზრუნველყოფს სწრაფი, ზუსტი და უსაფრთხო კავშირით. ასეთი ეფექტიანობის გასაღებს წარმოადგენს შეტყობინებათა უნიფიცირებული სტანდარტები. ზოგადად, სვიფტში არსებობს შეტყობინებათა 3 ძირითადი ტიპი: მომხმარებელთაშორისი(ფინანსური), სისტემური და მომსახურების შეტყობინებები. მათგან პირველი ტიპი მოიცავს ცხრა კატეგორიას, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ოპერაციების სხვადასხვა შტოებს. მეორე სახის შეტყობინებები იგზავნება უშუალოდ სვიფტის სისტემასა და მომხმარებლებს შორის, ხოლო მესამე – იგივე მხარეთა შორის, ოღონდ ეხება ერთიანი გლობალური ქსელის საკომუნიკაციო მომსახურების საკითხებს. სვიფტის სისტემაში თითოეულ ბანკს 8 ან 11 ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი (BIC) გააჩნია, რომლითაც იგი რეგისტრირდება და მუშაობს აღნიშნულ ქსელში. ეს კოდი გამოიყენება როგორც ფინანსური ოპერაციების წარმოებისას, ასევე მოცემულ ბანკში ყველა სახის ინფორმაციის გასაგზავნად. BIC კოდის ფორმირების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: პირველი ოთხი სიმბოლო აღნიშნავს კონკრეტული ბანკის დასახელებას, მომდევნო ორი – ქვეყნისას, ხოლო მომდევნო ორი კი – ადგილმდებარეობას. ზოგჯერ რვანიშნა კოდის ნაცვლად გვხვდება კოდი თერთმეტი სიმბოლოთი. ასეთ შემთხვევაში ბოლო სამი ციფრი აღნიშნავს მოცემული ბანკის ფილიალის კოდს. ზემოთხსენებული მტკიცების ილუსტრაციის მიზნით განვიხილოთ „საქართველოს ბანკის“ საიდენტიფიკაციო კოდი არის BAGAGE22, რომლის ფორმირებაც წარმოებს შემდეგნაირად: BAGA - ბანკის დასახელება, GE- ქვეყნის კოდი, 22- ადგილმდებარეობის კოდი. იმისათვის რომ ვნახოთ თუ როგორ ხდება სისტემის საშუალებით თანხის გადარიცხვა განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. დავუშვათ, ამერიკის ერთ-ერთი ბანკის, BankofAmerica-ს მომხმარებელი მიდის ბანკის ფილიალში ნიუ იორკში, რათა თანხა გადაურიცხოს თავის მეგობარს ვენეციაში, რომელიც სარგებლობს UniCreditBanca-ს მომსახურებით. ნიუ იორკელ მეგობარს შეუძლია მივიდეს ბანკში თავისი მეგობარისანგარიშის ნომრითა და UniCreditBanca-ს ვენეციის ფილიალის უნიკალური SWIFT კოდით. BankofAmerica გაუგზავნის გადახდის მოთხოვნის მესიჯს UniCreditBanca-ს ვენეციის ფილიალს სვიფტის

ქსელის საშუალებით. მას შემდეგ, რაც UniCreditBanca მიიღებს მესიჯს შემომავალი გადახდის თაობაზე, იგი ასახავს თანხას იტალიელი მეგობრის ანგარიშზე.

სვიფტი კონცენტრირებულია 3 სტრატეგიულ პრიორიტეტზე – კლიენტებისთვის ხარისხის შეთავაზება, საბაზრო ინფრასტრუქტურათა მხარდაჭერა და სვიფტის მომავალი თაობის გაზრდა. ამის დასტურია ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებლები. მაგალითად, 1998 წელს წინა წელთან შედარებით 18,5%-ით მოიმატა სვიფტში გამავალი ფინანსური შეტყობინებების ნაკადმა და მან 812 მილიონს მიაღწია, მაშინ როდესაც ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2002 წლის მონაცემებით 1,8 მილიარდს გადააჭარბა. ასევე თვალშისაცემია ბოლო წლებში მთლიანი მოცულობების ნაკადის (Traffic) განუწყვეტელი ზრდა თითოეული წელიწადის პიკურ დღეს. კერძოდ, თუ 1998 წლის პიკურ დღეს სვიფტის კლიენტებმა გაგზავნეს დაახლოებით 4,2 მილიონი შეტყობინება, 2002 წელს ეს რიცხვი 8,7 მილიონამდე გაიზარდა. 2019 წლის აპრილის მონაცემებით, სვიფტის სისტემის საშუალებით ყოველდღიურად ხორციელდებოდა საშუალოდ 33.23 მილიონი ფინანსური შეტყობინება. ეს კი ნიშნავს, რომ 2018 წლის აპრილთან შედარებით ტრაფიკი გაზრდილია 8.5%-ით. 2019 წლის პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა 28 თებერვალს 36.34 მილიონი შეტყობინებით. აღნიშნული მაჩვენებელი 3.2%-ით (1.1 მილიონი შეტყობინება) აღემატება წინა პიკურ დღეს 2018 წლის 31 მაისს.

სურათი 1.1.ყოველთვიური ფინანსური ნაკადების ევოლუცია



წყარო: <https://www.swift.com/about-us/swift-fin-traffic-figures>

სვიფტის სისტემის დანერგვამდე გადარიცხვების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის საშუალება იყო ტელექსი. მაგრამ მას არ ჰქონდა სვიფტის მსგავსად უნიფიცირებული კოდების სისტემა ბანკებისა და ტრანზაქციების აღსაწერად. მასში დიდი იყო ადამიანური შეცდომების დაშვების ალბათობა. თავდაპირველად სვიფტის შექმნის მიზანი იყო რომ მომსახურება გაეწია მხოლოდ ხაზინისთვის და განეხორციელებინა საკორესპონდენტო ტრანზაქციები. შემდგომში იგი თანდათანობით გაფართოვდა ახლა უკვე მომსახურებას უწევს შემდეგ ინსტიტუტებს:

- ბანკები(Banks)
- საბროკერო ინსტიტუტები და სავაჭრო სახლები (Brokerage Institutes and Trading Houses)
- ფასიანი ქაღალდების დილერები (Securities Dealers)
- აქტივების მართვის კომპანიები (Asset Management Companies)
- საკლირინგო ორგანიზაციები (Clearing Houses)
- დეპოზიტორები (Depositories)
- ბირჟები (Exchanges)
- კორპორატიული ბიზნეს სახლები (Corporate Business Houses)
- სახაზინო ბაზრის მონაწილეები და სერვისის მიმწოდებლები (Treasury Market Participants and Service Providers)
- სავალუტო და ფულის ბროკერები (Foreign Exchange and Money Brokers) (How the SWIFT System Works, Shobhit Seth, May 29, 2019)

SWIFT მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს:

- აპლიკაციები - SWIFT-ის კავშირები საშუალებას იძლევა მომხმარებლებმა მიიღონ სხვადასხვა განაცხადები, რომლებიც მოიცავს ხაზინისა და ფორექსი გარიგებების შესატყვის რეალურ დროში ინსტრუქციას, ინფორმაციას საბანკო ბაზრის ინფრასტრუქტურაზე, ბანკებისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო ინფრასტრუქტურაზე.

ასევე მონაცემებს ანგარიშსწორების, გადახდის, გადამუშავების, ფორექსისა და დერივატივების შესახებ.

➤ ბიზნეს დაზვერვა - SWIFT- მა ცოტა ხნის წინ წარმოადგინა საანგარიშო საშუალებები, რომლებიც კლიენტებს საშუალებას მისცემს, მიიღონ დინამიური, რეალურ დროში შეტყობინებების მონიტორინგი, აქტივობა, სავაჭრო ნაკადები და ანგარიშგება. ანგარიშები საშუალებას აძლევს ფილტრაციას რეგიონის, ქვეყნის, გზავნილის ტიპებისა და მასთან დაკავშირებული პარამეტრების მიხედვით.

➤ მოქნილი მომსახურება - ფინანსური დანაშაულთან დაკავშირებული მომსახურება, SWIFT გთავაზობთ საანგარიშო და საკომუნიკაციო საშუალებებს, როგორცაა სამომხმარებლო (KYC), სანქციები და ფულის გათეთრება (AML).

➤ მიმოწერა, დაკავშირებადობა და პროგრამული გადაწყვეტილებები - SWIFT- ის ბიზნესის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს უსაფრთხო, საიმედო და მასშტაბური ქსელის მეშვეობით. მისი სხვადასხვა შეტყობინებათა ჰაბები, პროგრამული უზრუნველყოფა და ქსელური კავშირის საშუალებით, SWIFT მომხმარებელს სთავაზობს მრავალ პროდუქტს და მომსახურებას, რომელიც საშუალებას მისცემს თავის კლიენტებს გააგზავნონ და მიიღონ ტრანსაქციური შეტყობინებები. (How the SWIFT System Works, Shobhit Seth, May 29, 2019)

სვიფტის სისტემის გამოყენების მთავარი ხიბლი არის ის რომ იგი არის მარტივად გამოსაყენებელი, უსაფრთხო , დაცული და გადახდების და საერთაშორისო ვალუტის მოძრაობის სწრაფი გზა.

სვიფტის გადახდის ინიცირებისას არსებობს უსაფრთხოების შემოწმების რამოდენიმე გზა:

➤ გამგზავნი ბანკი ახორციელებს შემოწმებას ხომ არ აქვს ადგილი გამგზავნის მიერ თაღლითობის მცდელობას ან ფულის გათეთრებას.

➤ მიმღები ბანკი ასევე აწარმოებს მსგავს შემოწმებას, რათა არ მოხდეს თანხების არასწორ ანგარიშზე ჩარიცხვა . ეს რა თქმა უნდა ტრანზაქციის შესრულების დროს ახანგრძლივებს და ვალუტის გადარიცხვას შესაძლოა 2-3 დღე დასჭირდეს.

აღნიშნული შემოწმების გზები არ წარმოადგენს გარანტიას რომ პირის ან ბიზნესის მიერ მიღებული სახსრები არ არის თაღლითური, ან რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ საქონელს ან მომსახურებას, რომელის უნდა მიიღონ.

სვიფტის სტრუქტურა უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის შემცირებას 5 ძირითად საშუალებაზე დაყრდნობით:

1. ეფექტური მმართველობა უზრუნველყოფს საქმიანობის სწორის მიმართულებით სვლას, იგი უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და რისკის მართვა პრიორიტეტულია მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.

2. ინფორმაციის კონფიდენციალურობა კრიტიკულია ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში და სვიფტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უსაფრთხო მიმოწერის მომსახურებაში.

3. საყოველთაო მთლიანობის კონტროლი იწვევს არაავტორიზებული ცვლილებებისგან და კორუფციისგან დაცვას.

4. სერვისის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და გამძლეობა მნიშვნელოვანია სვიფტის მომხმარებლებისთვის.

5. საბოლოო ჯამში, მკაცრი ცვლილების მართვის პროცესები ხელს უწყობს, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში, მისი უსაფრთხოების პრინციპები არ შეირყა.

როგორც ფინანსურ სექტორში მოქმედი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანია, SWIFT პირველია უსაფრთხო ტექნოლოგიების, მომსახურებისა და სტანდარტების კორესპონდენტირებად საბანკო საქმეში და ახდენს სექტორის მიერ ციფრული გადაწყვეტილებების მიღებას, როგორცაა ელექტრონული მონაცემების გაცვლა და ფაილების გადარიცხვა. მისი ტექნოლოგიები არღვევს მანამდე არსებულ მექანიკურ პროცესებს და ფინანსური სისტემებით გახსნილ ეფექტურობას, მკვეთრად შეამცირა ხარჯები და საოპერაციო რისკები და მუდმივად ცდილობენ გააძლიერონ ახალი ტექნოლოგიების საინტერესო პოტენციალი. სვიფტის მიერ განხორციელებული ყველა სერვისის მონიტორინგი ხდება ტექნიკური ჯგუფის მიერ ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. სვიფტის მომსახურების ჯგუფი მოქმედებს „მზის“ პრინციპით, რათა

მომხმარებლებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საკითხის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია.

განვიხილოთ სვიფტის ინფრასტრუქტურა:

SWIFTNet არის თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიებზე შექმნილი ფინანსური ინფორმაციის მიწოდების ელექტრონული სისტემა. იგი უზრუნველყოფს მონაცემთა საიმედო გადაცემას ნებისმიერ დროს.

დანართი FIN საშუალებას იძლევა მოხდეს შეტყობინებების გადაცემა სტანდარტულ Swift MT ფორმატში.

FIN- ის მსგავსად, InterAct საშუალებას იძლევა შეტყობინებების გაცვლის. InterAct სერვისი იძლევა MX ტიპის შეტყობინებების გაცვლი საშუალებას, რომლებიც გამოხატულია მოქნილი XML სინტაქსისა და ISO 20022 სტანდარტის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

FileAct იძლევა ფაილების გაგზავნის საშუალებას. ჩვეულებრივ გამოიყენება დიდი მოცულობის მესიჯებისთვის მაგალითად როგორცაა მასიური ანგარისწორება (BulkPayments), დიდი რეპორტები და ოპერაციული ინფორმაცია.

WebAccess- ის მეშვეობით, SWIFTNet მომხმარებლებს შეუძლიათ უსაფრთხოდ დაათვალიერონ SWIFTNet- ზე არსებული ფინანსური ვებ-გვერდები სტანდარტული ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და პროტოკოლების გამოყენებით.

სვიფტის გადახდების საფასური შესაძლოა განსხვავდებოდეს ბანკებს შორის და ანგარიშებს შორისაც. ხარჯი შესაძლოა ნულზე დაბალიც იყოს 50 დოლარზე მეტი თანხის გადარიცხვის შემთხვევაში. ამასთანავე ხარჯებთან შეიძლება იქნას დაკავშირებული თანხის მიღებაც. ზოგჯერ თუ გადასარიცხი თანხა პატარაა, ხარჯმა შესაძლოა მისი დიდი პროცენტული წილი შეადგინოს.

მიუხედავად იმისა, რომ სვიფტის სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე დაცული და უსაფრთხო, აქაც ხდება გარკვეული ინციდენტები. 2018 წლის თებერვალში უცნობმა ჰაკერებმა რუსული ბანკის ანგარიშიდან მოიპარეს 339,5 მილიონი რუბლი, რაც დაახლოებით 6 მილიონ დოლარს უდრის. ეს ყველაფერი კი განხორცილდა SWIFT-ს სისტემის გამოყენებით. როგორც, ცენტრალური ბანკის სპიკერმა ამ ფაქტის შესახებ

განაცხადა, ჰაკერებმა კონტროლი მოიპოვეს რუსული ბანკის კომპიუტერზე, რის შემდეგაც SWIFT სისტემის გამოყენების განახორციელეს თანხების საკუთარ ანგარიშებზე გადარიცხვა. (Hackers stole \$6 million from Russian Bank via SWIFT system, Jack Stubbs. 16 February 2018, www.reuters.com)

ასევე 2016 წლის თებერვალში თავდამსხმელებმა მოიპარეს 81 მილიონი დოლარი ბანგლადეშის ბანკის სვიფტის სისტემის გამოყენებით. მათ შეაღწიეს ბანკის სისტემაში, სვიფტით გადარიცხეს და თანხები და შემდეგ კვალი დაფარეს. ნებისმიერი თავდასხვა SWIFT-ის პროგრამულ უზრუნველყოფაზე წარმოქმნის შეშფოთების საფუძველს, რადგან თავდამსხმელებმა მოახდინეს თანხების დაზარალებული ანგარიშიდან თავიანთ ანგარიშებზე გადარიცხვა. ბანგლადეშის ბანკის შემთხვევაში, მაგალითად, თავდამსხმელმა 30 SWIFT- ის მოთხოვნა გააკეთა 5 თებერვალს, ბანკის SWIFT კოდით, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ნიუ იორკის ბანკის ანგარიშზე 1 მილიარდი დოლარის გადარიცხვის მცდელობაში. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მხოლოდ ხუთი გადარიცხვა დასრულდა წარმატებით , რაც დაახლოებით \$ 81 მილიონს შეადგენს. (Bangladesh Bank Attackers Hacked SWIFT Software April 25, 2016)

2019 წლის აპრილში Swift-მა გამოსცა ანგარიში „სამი წელი ბანგლადეშიდან , მოწინააღმდეგეების დაძლევა“(Three years on from Bangladesh, Tackling the adversaries) . ანგარიშში აღწერილია ბანგლადეშის ბანკის ინციდენტი. და ასევე აღწერილია სხვადასხვა თავდასხმის მაჩვენებლები. 2018 წლიდან სვიფტმა განსაკუთრებით გააძლიერა თანამშრომლობა ინდუსტრიის ექსპერტებთან, ანტი-ვირუს ვენდორებთან და ინციდენტის საპასუხო ჯგუფებთან. ყველა შემთხვევაში, სამიზნე ობიექტები იყვნენ შედარებით პატარა ბანკები ტრანზაქციების რაოდენობის კუთხით. კიბერ თავდასხმის დროს დრო არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი. დაფიქსირებულია ორი ძირითადი ტენდენცია. ერთის მხრივ, ტრანზაქციის განხორციელება არასამუშაო საათებში ან დასვენების დღეებში, ამ დროს ნაკლებია იმის შანსი, რომ სამიზნე ორგანიზაციამ შენი მოქმედება აღმოაჩინოს. ხოლო მეორეს მხრივ, ტრანზაქციის განხორციელება სამუშაო საათებში, როდესაც ტრანზაქციების რაოდენობა არის ბევრი და არის შანსი რომ შეერიოს მათ. ანგარიშში ასევე მოცემულია

რეკომენდაციები ბანკებისთვის და უსაფრთხოების ნორმები. ანგარიშის თანახმად თაღლითობების 70% ხორციელდება დოლარში, 21% -ევროში და მხოლოდ 9% სხვა ვალუტებში. შემთხვევების 83% ფიქსირდება აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში, 10%-ევროპაში, 3%-შუა აზიაში და 4% ჩრდილოეთ ამერიკაში. (Three years on from Bangladesh, Tackling the adversaries , SWIFT ISAC Report, April 2019).

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, ქვეთავში დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია სვიფტის და მისი ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მას მრავალი უპირატესობა გააჩნია სხვა სისტემებთან შედარებით და სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს, იმას რომ ის ყველაზე მეტადაა გავრცელებული. მისი მთავარი უპირატესობაა სისწრაფე, საიმედოობა და ეკონომიურობა. სვიფტი კონცენტრირებულია 3 სტრატეგიულ პრიორიტეტზე – კლიენტებისთვის ხარისხის შეთავაზება, საბაზრო ინფრასტრუქტურათა მხარდაჭერა და სვიფტის მომავალი თაობის გაზრდა. ამის დასტურია ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებლები. მნიშვნელოვანია რომ იგი მუდმივად ფართოვდება და ასევე იზრდება იმ ინსტიტუტების რიცხვი, რომლებსაც მომსახურებას უწევს. სისტემა მაქსიმალურად უზრუნველყოფს საოპერაციო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ სვიფტის სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე დაცული და უსაფრთხო, აქაც ხდება გარკვეული ინციდენტები. სვიფტის განხილვა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ საქართველო სწორედ მისი წევრია.

1.3 ფედვაიერი

ფედერალური სარეზერვო სისტემა სთავაზობს Fedwire სისტემას , რომელიც იძლევა გადარიცხვების რეალურ დროის რეჟიმში განხორციელების საშუალებას. სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებს, რომლებიც ფლობენ ფედერალური

სარეზერვო ბანკის ანგარიშს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ FedwireFundsServices- ში. 2008 წლისთვის სისტემაში იყო დაახლოებით 7,300 მონაწილე. FedwireFundsService ზოგადად გამოიყენება მნიშვნელოვანი და დროის მიხედვით კრიტიკული გადახდებისთვის. იგი არის საკრედიტო გადაცემის სისტემა. მონაწილეებს, რომლებსაც სურთ ფონდების გადარიცხვა წარუდგენენ ფედერალურ სარეზერვო სისტემას საკუთარი ანგარიშის სადებეტო ფონდებს და მეორე მხარის საკრედიტო ფონდებს. მონაწილეებმა გადარიცხვა შესაძლოა განახორციელონ ონლაინ, ელექტრონული შეტყობინების ან ტელეფონის საშუალებით. სისტემა ფუნქციონირებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9:00 საათიდან საღამოს 6:30 საათამდე, ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.

Fedwire სისტემის მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს სისტემა გადასახადების გაგზავნის ან მიღებისათვის, როგორც საკუთარ ანგარიშებზე, ამასთანავე ინდივიდუალური ან კორპორაციული კლიენტების სახელით. Fedwire არის რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემა. თითოეული ტრანზაქცია ინდივიდუალურად მუშავდება და მიღებულია მაღალკვალიფიციური ელექტრონული ქსელის მეშვეობით. თანხის განაღდება არის დაუყოვნებლივი, საბოლოო და შეუქცევადი. იქიდან გამომდინარე, რომ ამ სისტემით ანგარიშსწორება ხდება რეალურ დროში, მიმღებ და გამგზავნ ბანკებს შორის არ ხდება თანხების გაქვითვა. ამის უკეთ გასაგებად განვიხილოთ მაგალითი. დავუშვათ, რომ ABC ბანკს ჰყავს კლიენტი, რომელსაც სურს 10 000 დოლარის გადარიცხვა XYZ ბანკის მომხმარებლისთვის. ამავდროულად, XYZ ბანკის სხვა მომხმარებელს სურს 5 000 დოლარის გადარიცხვა ABC ბანკის სხვა მომხმარებლისთვის. იმის გამო, რომ Fedwire არ ახდენს თანხების გაქვითვას, ABC ბანკიც გადარიცხავს 10 000 დოლარს და XYZ ბანკიც გადარიცხავს 5 000 დოლარს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაქვითვას გამოიყენებდნენ მხოლოდ ABC გადაურიცხავდა სხვაობას 5 000 დოლარს XYZ ბანკს.

ამერიკაში ბანკების დიდი რაოდენობა (დაახლოებით 6 000) ინარჩუნებს ფედერალურ სარეზერვო ანგარიშებს. რადგანაც, ამდენ ბანკს აქვს ფედერალური სარეზერვო ანგარიშები, მათთვის იოლი ხდება სავალუტო გადარიცხვების Fedwire სისტემით განხორციელება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ტრანსფერების დინამიკა 1987-2018 წლებში. ამ პერიოდში სისტემაში განხორციელებულმა ტრანზაქციებმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადეს. 1987 წლისთვის ტრანსფერების მთლიანმა ღირებულებამ 152,453,528 მილიონი დოლარი შეადგინა, 2018 წელს კი იგივე მაჩვენებელი 716,211,759 მილიონი დოლარი იყო. დღიური ტრანსფერების საშუალო ღირებულება 1997 წელს 604,974 მილიონი დოლარი იყო, 2018 წელს კი 2,853,433 მილიონი დოლარი. ღირებულების ყველაზე მკვეთრი დაცემა 2009 წელს დაფიქსირდა 16.4%-ით, ხოლო ზრდა 2014 წელს 24%-ით.

ცხრილი 1.1 FedWire Fund Service-ის ყოველწლიური მონაცემები

წელი	ტრანსფერების რაოდენობა	წლიური ზრდა (%)	ტრანსფერების ღირებულება (მილიონი \$)	ღირებულების წლიური ზრდა (%)	ერთეული ტრანსფერის ღირებულება (მილიონი\$)	დღიური ტრანსფერების საშუალო მოცულობა	დღიური ტრანსფერების საშუალო ღირებულება(მილიონი \$)
2018	158,430,742	3.8	716,211,759	(3.2)	4.52	631,198	2,853,433
2017	152,649,633	3.0	740,096,838	(3.5)	4.85	608,166	2,948,593
2016	148,142,402	3.8	766,961,537	(8.1)	5.18	590,209	3,055,624
2015	142,757,101	5.7	834,630,440	(5.6)	5.85	566,496	3,312,026
2014	135,022,749	0.6	884,551,876	24.0	6.55	537,939	3,524,111
2013	134,244,177	2.0	713,310,354	19.0	5.31	534,837	2,841,874
2012	131,637,349	3.6	599,200,625	(9.7)	4.55	524,452	2,387.253
2011	127,022,420	1.5	663,837,575	9.1	5.23	506,065	2,644,771
2010	125,130,561	0.3	608,325,851	(3.6)	4.86	496,550	2,413,991
2009	124,731,244	(5.0)	631,127,108	(16.4)	5.06	494,965	2,504,473
2008	131,362,107	(2.5)	754,974,633	12.6	5.75	521,278	2,995,931
2007	134,688,381	0.8	670,665,569	17.1	4.98	536,607	2,671,974
2006	133,605,267	0.9	572,645,790	10.4	4.29	532,292	2,281,457
2005	132,437,838	5.9	518,546,733	8.3	3.92	527,641	2,065,923
2004	125,103,104	1.5	478,946,947	7.1	3.93	494,479	1,893,071

2003	123,280,721	7.2	477,341,692	10.2	3.63	491,158	1,782,238
2002	114,979,176	2.2	405,761,750	(4.2)	3.53	458,084	1,616,581
2001	112,455,615	3.8	423,606,365	11.5	3.77	448,030	1,687,675
2000	108,313,521	5.4	379,756,389	10.6	3.51	429,816	1,506,970
1999	102,797,106	4.8	343,381,658	4.5	3.34	407,925	1,362,626
1998	98,095,841	9.6	328,748,912	14.0	3.35	389,269	1,304,559
1997	89,510,261	8.4	288,419,808	15.8	3.22	356,615	1,149,083
1996	82,590,787	8.8	249,140,021	11.7	3.02	327,741	988,651
1995	75,894,343	5.3	222,954,083	5.6	2.94	302,368	888,263
1994	72,048,378	3.3	211,201,540	1.7	2.93	287,045	841,440
1993	69,736,710	3.2	207,629,814	4.2	2.98	276,733	823,928
1992	67,567,765	4.4	199,175,034	3.6	2.95	267,066	787,253
1991	64,697,268	3.4	192,254,895	(3.4)	2.97	257,758	765,956
1990	62,559,276	5.2	199,067,200	9.0	3.18	249,240	793,096
1989	59,456,427	6.6	182,575,303	13.6	3.07	236,878	727,392

წყარო: https://www.federalreserve.gov/paymentsystems/fedfunds_ann.htm

Fedwire- ის გადარიცხვების გაგზავნის შესაძლებლობა ინდივიდებს და ბიზნესებს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად გადაუხადონ თანხა მიმღებს. თუმცა, ეს სიჩქარე (გადარიცხვები იმავე დღეს და ხშირად ხდება თითქმის მყისიერად) ფასი ღირს. ბანკები საკომისიოს აწესებენ როგორც Fedwire-ით გაგზავნისთვის ისე Fedwire-ით მიღებისთვისაც., ზოგიერთი საკომისიო არის 30 ან 40 დოლარი. სასწრაფო შემთხვევებში ასეთი საკომისიო მონაწილეებისთვის შესაძლოა მისაღები იყოს, მაგრამ ჩვეულებრივ შემთხვევებში, ან როდესაც ნომინალი არის დაბალი ან გადარიცხვა არ არის სასწრაფო, გადარიცხვა შესაძლოა სხვა საშუალებებითაც განხორციელდეს.

Fedwire - ის საშუალებით განხორციელებული ტრანსფერის საკომისიო დამოკიდებულია ყოველთვიურად განხორციელებული ტრანსფერების მოცულობაზე. თავისთავად, რაც მეტი ტრანსფერი განხორციელდება მით ნაკლებია თითოეულის საკომისიო. ცხრილში მოცემულია საკომისიოები სხვადასხვა მოცულობებისთვის:

ცხრილი 1.2 გადარიცხვის ღირებულების ფასების სტრუქტურა

საფეხური	თვიური მოცულობა	საკომისიო
1	14 000-მდე ტრანზაქცია	\$0.164
2	14 001 – 90 000 ტრანზაქცია	\$0.049
3	90 000-ზე მეტი ტრანზაქცია	\$0.032

წყარო: <https://www.frb services.org/resources/fees/wires-2019.html>

Fedwire - ის საშუალებით ხორციელდება 3 სახის შეტყობინება :

1. თანხის გადარიცხვა
2. საერთაშორისო გადარიცხვა
3. ბანკთაშორისი გადარიცხვა

Fedwire - ის საშუალებით განხორციელებული ყოველი გადარიცხვისთვის არის გარკვეული სავალდებულო ველები. ესენია:

ველი	ელემენტი
1500	ინფორმაცია გამგზავნის შესახებ
1510	ტიპი
1520	ანგარიშის მონაცემები
2000	თანხის ოდენობა
3100	გამგზავნის საიდენტიფიკაციო კოდი და სახელი
3400	მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი და სახელი
3600	საქმიანობის ფუნქციური კოდი BTR, CKS, CTP, CTR, DEP, DRB, DRC, DRW, FFR, FFS, SVC

ფუნქციური კოდები შემდეგნაირად იზიფრება:

BTR – საბანკო გადარიცხვა (BankTransfer (Beneficiaryisbank))

CKS - იმავე დღის განხორციელების შემოწმება (CheckSameDaySettlement)

CTP – მომხმარებელთა ტრანსფერი პლიუსი (Customer Transfer Plus)

CTR - მომხმარებელთა ტრანსფერი (Customer Transfer (Beneficiary is not a bank))

DEP –დეპოზიტი გამგზავნის ანგარიშზე(Deposit to Sender's account)

DRB - ბანკთაშორისი თანხმობის მოთხოვნა (Bank – to- BankDrawdownRequest)

DRC – მომხმარებლის ან კორპორატიული თანხმობის მოთხოვნა (CustomerorCorporateDrawdownRequest)

DRW – თანხის გადახდა (DrawdownPayment)

FFR - სახელმწიფო ფონდების დაბრუნება (FedFundsReturned)

FFS - სახელმწიფო ფონდები გაყიდულია (FedFundsSold)

SVC -მომსახურების შეტყობინება (ServiceMessage) (Fedwire Funds Service Format Reference Guide, November 19, 2011)

გადარიცხვა დამატებით შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციებსაც:

- გამგზავნის მითითება (16 სიმბოლო)
- გადახდის შეტყობინება(საკონტაქტო ინფორმაცია)
- ხარჯები
- განსაზღვრული თანხა
- გაცვლითი კურსი

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ ფედერალური არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება დოლარში ანგარიშსწორებისათვის. მის საიმედოობას პირველ რიგში, განაპირობებს ის ფაქტი, რომ კონტროლდება ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ. ამ სისტემის მუშაობის პრინციპი იდენტურია თვით ფედერალური სარეზერვო სისტემის მუშაობის პრინციპისა. ბანკების დონეზე ანგარიშსწორება ხორციელდება პრაქტიკულად დაუყოვნებლივ – ერთი ბანკის სარეზერვო ანგარიში დებეტდება, ხოლო მეორესი კრედიტდება.

1.4 რეიტერი

1960-იან წლებში როიტერი იყო პირველი საინფორმაციო სააგენტო, რომელმაც დაიწყო კომპიუტერების გამოყენება საზღვარგარეთ ფინანსური მონაცემების გადაცემის მიზნით. 1973 წლიდან კი მან დაიწყო კომპიუტერული ტერმინალების გამოყენება მომხმარებლებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. სააგენტომ უზრუნველყო, რომ მის ქსელში მოეხდინა ელექტრონული ტრანზაქციები და განავითარა ელექტრონული ვაჭრობისა და საბროკერო მომსახურების ფართო სპექტრი. 1984 წლიდან როიტერი მოხვდა ლონდონის საფონდო ბირჟის და ნასდაკის ლისტინგში. 2008 წელს იგი გაერთიანდა ThomsonCorporation- თან და შეიქმნა ThomsonReuters, თუმცა ხშირად იგი მაინც მხოლოდ როიტერად მოიხსენიება. ერთიანი კომპანია 2009 წლიდან კვლავ მოხვდა ლონდონის საფონდო ბირჟისა და ნასდაკის ლისტინგში და ასევე გავიდა ტორონტოსა და ნიუ-იორკის საფონდო ბირჟებზეც. ამასთანავე, იგი კვლავ ინარჩუნებს თავის ადგილს საინფორმაციო სააგენტოების ბიზნესში. როიტერი ახლა არის ფინანსური ინფორმაციის მთავარი მიმწოდებელი, როგორც ისტორიული მონაცემების ასევე თანამედროვე მაჩვენებლების, ბიზნეს სექტორისთვის, მთავრობებისთვის და ასევე ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის.

როიტერის ახალი ამბების გუნდი ყოველწლიურად აქვეყნებს 7 მილიონ სტატიას, რომელიც მოიცავს ყველა გლობალურ აქტივების კლასს, მათ შორის, აქციებს, სავალუტო ბირჟებს, საქონელს, ფიქსირებულ შემოსავალს, ალტერნატიულ ინვესტიციებსა და უძრავი ქონებას.

როიტერი აქვეყნებს მრავალნაირ ფინანსურ ინფორმაციას შემდეგი სფეროებში:

- აქტივების მართვა
- საქონელი
- კორპორატიული ხაზინა
- სააქციო კაპიტალი

- სავალუტო ბაზარი
- საინვესტიციო, საბანკო და საკონსულტაციო საქმიანობა
- სიმდიდრის მართვა (<https://www.refinitiv.com/en>)

როიტერი ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქტიურად იყენებს ფინანსური კუთხით საქმიანობისთვის.⁷ ესენია:

- სავაჭრო პროგრამული უზრუნველყოფა -Eikon
- ფინანსური შეტყობინებების სერვისი -Eikon Messenger
- მაკროეკონომიკური მონაცემთა ბაზა -Datastream
- ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა - FXall
- აღსრულების მართვის სისტემა - REDI
- საწარმოს მონაცემების მართვა - Elektron Data Platform

Eikon ⁸ არის ღია დესკტოპი და მობილური გადაწყვეტა, რომელიც აკავშირებს მომხმარებელს სიახლეებთან, მონაცემებთან და ანალიტიკასთან. იგი არის ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტი. Eikon ასახავს ღრმა ინფორმაციას აქტივების კლასების, სექტორების და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. მოიცავს მრავალმხრივ ინფორმაციებს ფასების შესახებ, მათ შორის გლობალური სამთავრობო ობლიგაციების, ისტორიული ფასების გრაფიკს 70 000-ზე მეტი კომპანიისთვის, ფასების ანალიტიკა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ტექნიკურ შეფასებას, პროცენტულ ცვლილებას და სხვ. ის ასახავს მონაცემებს კვლევების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ინდექსებთან, კომპანიების და ბანკების მიერ ჩატარებულ კვლევებთან. სააგენტოს 2600 მეტი ჟურნალისტი სთავაზობს მომხმარებლებს უახლეს ინფორმაციებს და მათ პროფესიონალურ ანალიზს.

⁷ წყარო - <https://www.refinitiv.com/en/products>

⁸ წყარო - https://www.refinitiv.com/en/products/eikon-trading-software-x?adobe_mc_sdid=SDID%3D42DDD6788CFFA620-2E84721C744F4E7E%7CMCORGID%3D3E1F57795B977DEB0A495EEA%40AdobeOrg%7CTS%3D1562579806&adobe_mc_ref=https%3A%2F%2Fwww.refinitiv.com%2Fen%2Fproducts

პლატფორმაზე ხელმისაწვდომია მძლავრი დიაგრამების და ინტერაქტიული გრაფიკების გამოყენება, რომელიც იძლევა საშუალებას, მოხდეს დიდი მოცულობის ინფორმაციის იოლად დამუშავება.

Eikon Messenger წარმოადგენს უფასო, უსაფრთხო შეტყობინებათა სისტემას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს 300 000 -ზე მეტი ფინანსური ბაზრის მონაწილეს. წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის საშუალებას.

მაკროეკონომიკური მონაცემთა ბაზა -Datastream¹⁰ საშუალებას იძლევა შესწავლილი იყოს ურთიერთობები და ტენდენციები, ასევე კორელაციის მაჩვენებლები , მოახდინოს სავაჭრო იდეების შემოწმება და განვითარება. პლატფორმა მოიცავს მძლავრ ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, დიაგრამების აპლიკაციებს და მაკროსოფტ ოფისთან ინტეგრაციას. როიტერის საშუალებით, მომხმარებლებს საშუალება აქვთ შეასრულონ ჯვარედინი აქტივების კვლევა სხვადასხვა ეკონომიკური ციკლის მასშტაბით, ეკონომიკური მონაცემების ნახვა, როგორც თავდაპირველი სახით, ასევე როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში, მოახდინონ რეაგირება საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებლების გამოცხადებისას.

FXall¹¹ არის მსოფლიოს წამყვანი დამოუკიდებელი ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა. იგი აქტივების მენეჯერებს, კორპორატიულ ხაზინადარებს და აქტიურ მოვაჭრეებს საშუალებას აძლევს:

- ნებისმიერ საბაზრო პირობებში მიაღწიონ მაღალ ლიკვიდურობას 500-ზე მეტ სავაჭრო წყვილში;
- ერთ პლატფორმაზე ივაჭრონ სპოტებით, ფორვარდებით და სვოპებით;

⁹ წყარო - <https://www.refinitiv.com/en/products/eikon-trading-software/eikon-messenger-secure-messaging>

¹⁰ წყარო - <https://www.refinitiv.com/en/products/datastream-macroeconomic-analysis>

¹¹ წყარო - https://www.refinitiv.com/en/products/fxall-electronic-trading-platform-x?adobe_mc_sdId=SDID%3D557F0B8A441CFAF5-1ED874EDB3818C1C%7CMCORGID%3D3E1F57795B977DEB0A495EEA%40AdobeOrg%7CTS%3D1562579893&adobe_mc_ref=https%3A%2F%2Fwww.refinitiv.com%2Fen%2Fproducts%2Fdatastream-macroeconomic-analysis

- წარმოადგინონ პოსტ-სავაჭრო ანგარიშგება და გარიგების ხარჯების ანალიზი;
- შეასრულონ დერივატივებთან დაკავშირებული მოთხოვნები.
- მონიტორინგი გაუწიონ გაცვლითი კურსის ცვლილებას.

ThomsonReuters სთავაზობს მომხმარებელს REDI ¹² -ის ღია და ძლიერი სავაჭრო პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც საშუალება ეძლევათ მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები თავიანთი სავაჭრო საქმიანობისთვის. ერთი ინტერფეისით საშუალებას იძლევა ივაჭრონ 80 -ზე მეტ ქვეყანაში და 200-ზე მეტი ბროკერით, აქციებით, ფიუჩერსებით და ოფციონებით.

საწარმოს მონაცემების მართვის სისტემა Elektron Data Platform ¹³ მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სასურველი სავაჭრო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად კონკურენტებზე უკეთ. ის უკვე არის ბაზარზე ტესტირებული და სანდო. იგი არის ერთადერთი ქემმარიტად ღია პლატფორმა ინდუსტრიაში. იგი აშუქებს 500-ზე მეტ ბირჟას რეალურ დროში ლონდონში, ჩიკაგოში, ტოკიოში, ფრანკფურტში, სინგაპურში, პეკინში, შანხაიში, ჰონგ-კონგში, სიდნეიში, იოჰანესბურგში, მუმბაიში, დუბაიში, მოსკოვში, სეულსა და ტორონტოში.

ამრიგად, განხილული როიტერის საინფორმაციო სისტემა არის ფინანსური ინფორმაციის მთავარი მიმწოდებელი, როგორც ისტორიული მონაცემების ასევე თანამედროვე მაჩვენებლების, ბიზნეს სექტორისთვის, მთავრობებისთვის და ასევე ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დღეს ის უკვე არა მხოლოდ აქვეყნებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ფინანსურ ინფორმაციას, არამედ ფლობს ინსტრუმენტებს, რომლებსაც იყენებენ ფინანსური კუთხით საქმიანობისათვის. მათ შორის გამორჩეულია რეიტერის ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა რომ ერთ პლატფორმაზე ივაჭრონ სპოტებით, ფორვარდებით და სვოპებით.

¹² წყარო - <https://www.refinitiv.com/en/products/redi-execution-management>

¹³ წყარო - <https://www.refinitiv.com/en/products/elektron-enterprise-data-management>

ინფორმაცია არის მძლავრი იარაღი და როიტერი თავის მხრივ მომხმარებლებსაც სთავაზობს ან ინფორმაციის მიღების და გამოყენების მრავალნაირ საშუალებას.

თავი 2. საქართველოში რეალურ დროში გადარიცხვები

2.1 RTGS სისტემის დახასიათება, დანერგვა და განვითარება

რეალურ დროში გადარიცხვები RTGS არის უწყვეტი პროცესი გადახდების ინდივიდუალურად ასახვისა, ცენტრალურ ბანკებში დებეტისა და კრედიტის დაანგარიშების გარეშე. პროცესის ერთხელ დასრულების შემდეგ, განხორციელებული გადახდა უკვე არის საბოლოო და შეუქცევადი. რეალურ დროში გადარიცხვების სისტემა ძირითადად გამოიყენება მსხვილი ბანკთაშორისი გადარიცხვების. ეს პროცესი კი ხშირად მოითხოვს დაუყოვნებლივ და მთლიან გაწმენდას(Clearing) და მას როგორც წესი ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალური ბანკი უწევს. რეალურ დროში გადარიცხვა ამცირებს საერთო სავარაუდო რისკს, რადგან ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, როგორც წესი, რეალურ დროში ხდება დღის განმავლობაში და არა მხოლოდ დღის ბოლოს. ეს გამორიცხავს გარიგების რისკს გარიგების დასრულებისას. RTGS- ს შეუძლია გამოიწვიოს უფრო მაღალი გადასახადი ვიდრე ეს იქნებოდა წმინდა გადახდების დროს. რეალურ დროში მთლიანი ანგარიშსწორების სისტემები განსხვავდებიან ქსელის გადახდის სისტემებიდან, როგორცაა ბრიტანეთში Bacs Payment Schemes Limited (ან BACS) მაგალითად, BACS- ის გამოყენებით, დღის განმავლობაში დაგროვილი ტრანზაქციები ხდება სამუშაო დღის დასასრულს. ამასთანავე, RTGS არ მოითხოვს თანხის ფიზიკურად გაცვლას; უმეტესად ცენტრალური ბანკი შემდგომში ელექტრონულად აკორექტირებს გამგზავნის და მიმღების საბანკო ანგარიშებს. მაგალითად, ბანკის A (გამგზავნი) ბალანსი მცირდება \$ 1 მილიონით, ხოლო ბანკის B (Payee) ბალანსი გაიზრდება 1 მილიონი დოლარით. RTGS სისტემებს უფრო და უფრო მეტად იყენებენ ცენტრალური ბანკები ფინანსურ ინსტიტუტებს შორის მსხვილი გადახდებისთვის. ასევე კონფიდენციალური ფინანსური მონაცემების მქონე კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ინფორმაციებსა და სახსრების დაცვას უსაფრთხოების მაღალ დონეს. (Real-Time Gross Settlement (RTGS), Adam Barone, 29 Apr.2019)

1996 წლიდან საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო გადარიცხვების სისტემა SWIFT-ში. საქართველოს ეროვნული ბანკსა და SWIFT-ს (საერთაშორისო გადარიცხვების სისტემა) შორის კოპენჰაგენში (დანია) SWIFT-ის ყოველწლიურ კონგრესზე ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმის მიხედვით, პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ავტომატიზებული საკლირინგო სისტემისთვის SWIFT-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, მეორე ეტაპზე კი რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემის განახლება.

საქართველოში საგადახდო სისტემის განვითარების ძირეულ ეტაპად მიჩნეულია 2001 წლის სექტემბერი. ამ თარიღში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (სავალუტო ფონდისა და USAID-ის) მხარდაჭერით განხორციელდა პირველი ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის (დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა - RTGS) დანერგვა. 2003 წლიდან RTGS-მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ ელექტრონული ფორმით ხორციელდება. 2007 წლიდან სისტემაში პირდაპირი მონაწილის სახით ჩაერთო ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. 2010 წლის 3 დეკემბრიდან ექსპლუატაციაში შევიდა დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების ახალი სისტემა, რომელმაც ჩაანაცვლა 9 წლის წინ დანერგილი სისტემა. წინა სისტემასთან შედარებით მონაწილეებისთვის გაუმჯობესდა გადარიცხვების დამუშავების პროცესი, ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტები, უსაფრთხოება და რეპორტინგი. დაინერგა შეტყობინების დამუშავების თანამედროვე, ინოვაციური მეთოდები. მთლიანად საგადახდო სისტემაში გაუმჯობესდა სისტემური რისკებისა და საოპერაციო დღის მართვა. ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისტემის წარმადობა გადარიცხვების დამუშავების კუთხით.

საგადახდო სისტემის ტიპი და სტრუქტურა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რაც დამოკიდებულია როგორც ისტორიულ მიზეზებზე, ასევე ქვეყნის სამართლებრივ, რეგულატორულ და ინსტიტუციურ მოწყობაზე. საგადახდო სისტემები განხორციელებული ტრანზაქციების მიხედვით ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა : დიდი თანხობრივი მოცულობის გადახდების სისტემა და საცალო გადახდების სისტემა, რომელიც

განკუთვნილია მცირე მოცულობის თანხების გადახდებისთვის. საქართველოში არსებული RTGS სისტემა წარმოადგენს ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ამუშავებს არა მხოლოდ მსხვილ გადახდებს, არამედ მცირე თანხობრივი მოცულობის გადახდებსაც. მათი დამუშავება განსხვავებულ რეჟიმში ხდება; კერძოდ მსხვილი გადახდები სისტემას მიეწოდება ინდივიდუალურად, ხოლო მცირე გადახდები ჯგუფდება და დასამუშავებლად სისტემას პაკეტებად მიეწოდება. მიუხედავად ამისა, ყველა გადახდის ოპერაციის ანგარიშსწორება დროის რეალურ რეჟიმში ხდება.

RTGS-ის მონაწილეები არიან ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური და კომერციული ბანკები. მათი დეტალურია სია შემდეგნაირად გამოიყურება.

ცხრილი 2.1 დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის მონაწილეები

მონაწილის დასახელება	RTGS მონაწილის კოდი	IBAN კოდი
საქართველოს ეროვნული ბანკი	BNLNGE22	NB
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	TRESGE22	TR
სს „საქართველოს ბანკი“	BAGAGE22	BG
სს "თიბისი ბანკის დროებითი კოდი"	REPLGE22	BR
სს „ბაზისბანკი“	CBASGE22	BS
სს „სილქროუდბანკი“	DISNGE22	BT
სს „ბანკი ქართუ“	CRTUGE22	CR
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	HABGGE22	HB
სს „ტერაბანკი“	TEBAGE22	KS
სს „ლიბერთიბანკი“	LBRTGE22	LB
სს „პროკრედიტ ბანკი, საქართველო“	MIBGGE22	PC
სს „თიბისი ბანკი“	TBCBGE22	TB
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	UGEBGE22	VT
სს "ზირაათბანკისაქართველო"	TCZBGE22	ZB
სს „პაშა ბანკი საქართველო“	PAHAGE22	PB
სს „იშბანკი საქართველო“	ISBKGE22	IS
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	FGEOGE22	FG
სს „კრედო ბანკი“	JSCRGE22	CD

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=600>

საქართველოში გადარიცხვები ხორციელდება IBAN სისტემით. IBAN არის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო ანგარიში. IBAN ანგარიშების გამოყენების შემთხვევაში მცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა. რიგ შემთხვევებში ასევე მცირდება გადარიცხვის საკომისიო და სახსრების მიმღების ანგარიშზე ასახვის ხანგრძლივობა. ISO 13616-2:2007-ის მიხედვით IBAN ანგარიშების ფორმატების რეგისტრაციას აწარმოებს საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება (SWIFT), რომელიც არეგისტრირებს სახელმწიფოების მიხედვით ანგარიშების ნომრების ფორმატებს. სარეგისტრაციო მოთხოვნების მიხედვით, IBAN ფორმატის რეგისტრაციის ფორმა შესაძლებელია წარადგინოს შესაბამისი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, ან ეროვნული სტანდარტიზაციის დაწესებულებამ. შემუშავებული ფორმატის მიხედვით IBAN ანგარიშები საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 22 სიმბოლოთი. ანგარიშის ნომრის სტრუქტურა არის შემდეგი: ყველა ანგარიში იწყება GE სიმბოლოთი, რაც არის ქვეყნის კოდი, შემდეგი 2 ციფრი არის საკონტროლო გასაღები, რომელიც გამოითვლება ყველა სხვა დანარჩენი სიმბოლოების მიხედვით, მომდევნო 2 სიმბოლო წარმოადგენს ბანკის IBAN კოდს, რომლებიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თითოეული ბანკისთვის. ბოლო 16 ციფრი კი არის ბანკის მიერ განსაზღვრული ანგარიშის იდენტიფიკატორი.

საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა. ამისათვის ყოველწლიურად მრავალი ღონისძიება ტარდება, რის შესახებაც აღინიშნება ხოლმე წლიურ რეპორტებში. ამ მხრივ გამორჩეული იყო 2018 წელიც. ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის:

- ეროვნული ბანკის RTGS სისტემის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების CPSS-IOSCO პრინციპების დამკვიდრება;

- საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაცია, მოქმედი საგადახდო მომსახურების პროვაიდერების დისტანციური და ადგილზე შემოწმება;
- არსებული და საგადახდო ინსტრუმენტების და საშუალებების განვითარებისა და ინოვაციური ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობა'
- საგადახდო სისტემის ზედამხედველობის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტებზე მუშაობა და არსებული სამართლებრივი ბაზის დახვეწა. (საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის წლიური ანგარიში)

2018 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით პირველად განხორციელდა ეროვნული ბანკის RTGS სისტემის თვითშეფასება ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის პრინციპების (PMFI60) მიხედვით, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთან (BIS) არსებული საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტის (CPSS) და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) ტექნიკური კომიტეტის მიერ. მსოფლიო ბანკის კონსულტაციების საფუძველზე განხორციელდა RTGS სისტემის საქმიანობის სამართლებრივი ბაზის, მმართველობითი სტრუქტურის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკების მართვის, საბოლოო ანგარიშსწორების მექანიზმის, საოპერაციო და ბიზნეს რისკების მართვის, სისტემის მონაწილეებთან დაკავშირებული და სისტემაზე წვდომის მოთხოვნების, ეფექტიანობისა და ეფექტურობის, ძირითადი სტანდარტებისა და პროცედურების გამჭვირვალობის შეფასება. გარდა ამისა, შეფასდა ეროვნული ბანკის, როგორც ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი საფინანსო ბაზრის ინფრასტრუქტურების მიმართ. აღნიშნული თვითშეფასების მიზანია ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემასთან (RTGS სისტემასთან) დაკავშირებული პოტენციური რისკების დროულად აღმოჩენა და ფინანსური შოკების თავიდან აცილება, აგრეთვე, ზოგადად სისტემის ფუნქციონირების სრულყოფა.

RTGS სისტემა მაღალი ეფექტიანობით ახორციელებს სისტემის შიგნით გადახდების (ტრანსფერ-ორდერების) დამუშავებას. 2018 წლის განმავლობაში სისტემის მიერ ერთი

ტრანსფერ-ორდერის დამუშავების საშუალო დრო 2011 წელთან შედარებით 83 პროცენტით გაიზარდა და 0.064 წამს მიაღწია, რაც, საშუალოდ, წამში 15.6 ტრანზაქციას შეადგენს. საყურადღებოა, რომ სულ სისტემის მიერ დამუშავებული ტრანსფერ ორდერების რაოდენობა იმავე პერიოდში 139 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ერთი საათის განმავლობაში დამუშავებული ტრანსფერ-ორდერების მაქსიმალური რაოდენობა 69 ათას ტრანზაქციას შეადგენდა, რომლის დამუშავების სიჩქარე იყო 27.8 ტრანზაქცია წამში, რაც 40 პროცენტით უფრო მეტია 2011 წლის შესაბამისი მაჩვენებელზე და 2017 წლის მაჩვენებელს მცირედით აღემატება. 2018 წლის მონაცემებით სამი უმსხვილესი კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ბანკთაშორისი ტრანზაქციების წილი სულ განხორციელებულ ბანკთაშორის ტრანზაქციებში (ეროვნული ბანკის ოპერაციების გამოკლებით) 66.9 პროცენტს შეადგენდა, რაც 6 პროცენტული პუნქტით მეტია 2017 წლის შესაბამისი მაჩვენებელზე. ბანკთაშორისი გადარიცხვების კონცენტრაცია 2012-2016 წლებში უმნიშვნელოდ შეიცვალა, ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში კი შესამჩნევად გაიზარდა, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია ბოლო წლებში სისტემის მონაწილე ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკის მიერ ბაზრის მეორე მსხვილი მონაწილის შექმნით. RTGS სისტემაში კომერციული ბანკების კლიენტების დავალებების უფრო მოქნილად დამუშავების მიზნით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან სისტემის საოპერაციო დრო ერთი საათით გახანგრძლივდა. ამ ცვლილებით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მომხმარებლებისგან 18 საათამდე მიღებული დავალებები იმავე დღეს შეესრულონ. 2018 წლის 11 იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს კანონში „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“. ცვლილების თანახმად, საგადახდო სისტემების დაცვის დებულებები (როგორცაა ანგარიშსწორებისა და გადახდის საბოლოობა) ყველა საგადახდო სისტემაზე გავრცელდა. საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ვალდებული გახდნენ ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ IFRS სტანდარტის შესაბამისად, ხოლო საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერებს დაეკისრათ ვალდებულება აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება გამოაქვეყნონ საკუთარ ვებ გვერდზე. 2017 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდა

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი, რომელმაც განსაზღვრა მომხმარებლის ფულადი სახსრების განთავსებისა და დაცვის მოთხოვნები, პროვაიდერების მიერ საოპერაციო ფუნქციების აუტოსორსინგზე გატანისა და მის მიერ აგენტების გამოყენების პირობები, აგრეთვე მომხმარებელთა საჩივრების მიღებისა და განხილვის წესები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგადახდო მომსახურების შესახებ პროვაიდერისგან მიღებული ინფორმაციის ხარისხი და უფრო მრავალფეროვანი გახდა მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი. კერძოდ, 2017 წლის 10 ივლისიდან ამოქმედდა „საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმები და მისი შევსების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროვაიდერების მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენ ყოველთვიურ და ყოველკვარტალურ ინფორმაციას. ამ წესის შესაბამისად, პროვაიდერების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული საგადახდო მომსახურების შესახებ, ყოველდღიური ინფორმაცია მომხმარებლის ფულადი სახსრების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია აგენტებისა და შუამავალი პროვაიდერების შესახებ. (საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში)

ხაზინის ერთიან ანგარიშზე ხდება როგორც სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების კუთვნილი შემოსულობების ჩარიცხვა, ასევე ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (სსიპ) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) კუთვნილი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსულობების ჩარიცხვა. ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხების განაწილება ხდება სახსრების მფლობელების მიხედვით. სახსრების მფლობელები არიან: სახელმწიფო ბიუჯეტი, მიზნობრივი გრანტი, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტში, თვითმმართველი ერთ. ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ და ააიპ შემოსავლები, თვითმმართველი ერთეულების სსიპ და ააიპ შემოსავლები, სარეზერვო ქვეანგარიში.

ხაზინის ერთიან ანგარიშიდან ხდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა გადასახდელის, ასევე ყველა ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულის ბიუჯეტის და ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საჯარო სამსართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გადასახდელების გადახდა;

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა (eTreasury) მჭიდროდ არის ინტეგრირებული RTGS სისტემასთან, რამაც გააუმჯობესა ელექტრონული საგადახდო დოკუმენტების დამუშავების პროცესი, საბანკო დღის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება, თანამედროვე ტექნოლოგიები უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ დონეს და მინიმუმამდელა დაყვანილი საოპერაციო რისკი.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებისათვის სახელმწიფო ხაზინას 2009 წლიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს მულტისავალუტო ანგარიში. სავალუტო ანგარიშიდან ხორციელდება: საბიუჯეტო გადახდები უცხოურ ვალუტაში; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის მთავრობების მიერ გრანტების და კრედიტების ჩარიცხვა; ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ჩარიცხვა უცხოურ ვალუტაში;

2011 წლიდან სახაზინო სამსახური გაწევრიანდა მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების ასოციაციის (SWIFT) სისტემაში. მოხდა სისტემის დანერგვა და ფუნქციონალის შესწავლის მიზნით თანამშრომელთა დატრენინგება. ამ ეტაპზე სავალუტო ოპერაციების განხორციელება ხდება საქართველოს ეროვნულ (მაკორესპოდენტო) ბანკთან SWIFT-ის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლის მაღალ ხარისხს და სავალუტო ოპერაციების სწრაფად განხორციელებას.

საგადახდო სისტემაში გადახდის ინიცირება ხდება საგადახდო დავალების გაცემის საშუალებით. საგადახდო დავალების გაცემა და შესრულება რეგულირდება საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“. მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის მიცემული საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს პროვაიდერის წესებით დადგენილ სტანდარტებს და შეიცავდეს იმ რეკვიზიტებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროვაიდერის მიერ საგადახდო დავალების

შესრულებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ინფორმაციას. საგადახდო დავალების ფორმას და სტრუქტურას განსაზღვრავს პროვაიდერი. მომხმარებელი პასუხისმგებელის საგადახდო დავალებით პროვაიდერისთვის მიწოდებული რეკვიზიტების სისწორესა და სისრულეზე. საგადახდო დავალება შეიძლება გაიცეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. (საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 23)

საგადახდო დავალების მიღების დროდ ითვლება ის მომენტი. როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი მიიღებს საგადახდო დავალებას, მიუხედავად იმისა, ის ინიცირებულია გადამხდელის თუ მიმღების მიერ. თუ საგადახდო დავალება გადამხდელის პროვაიდერმა მიიღო მისთვის არასამუშაო დღეს, იგი ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად. ასევე პროვაიდერს შეუძლია დააწესოს გარკვეული დრო, რომლის შემდეგ მიღებული საგადახდო დავალებაც ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია საგადახდო დავალების მიღების დღეს მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აცნობოს გადამხდელს საგადახდო დავალების მიღება და სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი. (საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 24)

რიგ შემთხვევებში შესაძლოა მოხდეს საგადახდო დავალების უარყოფა. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უარს ამბობს საგადახდო დავალების შესრულებაზე, იგი ვალდებულია რომ აცნობოს მომხმარებელს ამის შესახებ ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი უმოკლეს დროში, არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულების ვადისა. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება უარი განაცხადოს გადამხდელის მიერ ავტორიზებული საგადახდო დავალების შესრულებაზე, თუ დაცულია გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით და პროვაიდერის წესებით განსაზღვრული მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ

შეთანხმებულ დღეს გადამხდელს არ აქვს გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად საკმარისი თანხა , გადამხდელის პროვაიდერს უფლება აქვს უარი თქვას საგადახდო დავალების შესრულებაზე. (საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 25)

საგადახდო დავალების შესრულების ვადები დამოკიდებულია იმაზე, არიან თუ არა გადამხდელი და მიმღები ერთი და იმავე პროვაიდერის მომხმარებლები. თუ ისინი ერთი და იმავე პროვაიდერის მომხმარებლები არიან, პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვა საგადახდო დავალების მიღების დღეს. თუ გადამხდელსა და მიმღებს სხვადასხვა მომსახურების პროვაიდერი ჰყავთ გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხვა საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ხოლო მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს, ხოლო თუ თანხის ჩარიცხვის დღე პროვაიდერისთვის არასამუშაო დღეა-არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ასახოს ჩარიცხული თანხა მიმღების ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმღების პროვაიდერი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმღების იდენტიფიკაციას ვერ ახერხებს, მიმღების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს თანხის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით დაბრუნება. პროვაიდერმა მომხმარებლის მიერ საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანისა და ან მისი ელექტრონულ ფულზე გადაცვლისას დაუყოვნებლივ უნდა გახადოს თანხა ანგარიშის მფლობელისთვის ან ელექტრონული ფულის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი. გადამხდელს ასევე უფლება აქვს რომ საგადახდო დავალების შესრულების დადასტურების მიზნით თავის პროვაიდერს მოსთხოვოს დადასტურებული დოკუმენტი. დოკუმენტი გაცივმა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. გადახდა შესრულებულად ითვლება მიმღების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.(საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 26,27)

გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და ასევე პროვაიდერის ნებისმიერი შუამავალი ვალდებულია რომ გადარიცხონ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა. ასევე მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღების ანგარიშზე ასახოს თანხა მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ოდენობით. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღებთან შეთანხმებული ფორმით მიაწოდოს მას ინფორმაცია მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხისა და დაკავებული საკომისიოს ოდენობის შესახებ, თუ მიმღებსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით გათვალისწინებულია საკომისიოს დაკავების შემთხვევა. თუ გადარიცხული თანხიდან დაკავებულ იქნა საკომისიო, გადამხდელის პროვაიდერი უზრუნველყოფს, რომ მიმღებმა მიიღოს გადამხდელის მიერ ინიცირებულ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა. დაუშვებელია საგადახდო დავალების ნაწილობრივ შესრულება. (საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 28)

მომხმარებელს არ აქვს უფლება გააუქმოს საგადახდო დავალება თუ იგი მიღებულია გადამხდელის პროვაიდერის მიერ. (საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 29)

საგადახდო მომსახურების პროვაიდერი პასუხს არ აგებს საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის ან არასწორად შესრულებისთვის, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ საგადახდო დავალებაში მითითებული არასწორი ინფორმაციით. ეს არ ათავისუფლებს პროვაიდერს ვალდებულებისაგან, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მომხმარებელს არასწორად გადარიცხული თანხის დაბრუნებაში. თუ გადამხდელის პროვაიდერი პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის არასწორად განხორციელებისთვის , იგი ვალდებულია გადამხდელს დაუბრუნოს არასწორად გადარიცხული თანხა და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული საკომისიო. თუ მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის არასწორად განხორციელებისთვის, იგი ვალდებულია მიმღებს ანგარიშზე ჩაურიცხოს გადახდის ოპერაციის თანხა. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული პროვაიდერის პასუხისმგებლობა

გამოწვეულია გადახდის ოპერაციის განხორციელების პროცესში მონაწილე სხვა პროვაიდერის, შუამავლის ან სხვა პირის ქმედებით ან უმოქმედობით, პროვაიდერი უფლებამოსილია მოსთხოვოს ამ პირს ამ თავის შესაბამისად პროვაიდერის მიერ გადახდილი თანხისა და შესაბამისი ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 31)

მომხმარებელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი. თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულია ან არასწორად არის განხორციელებული, პროვაიდერს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ გადახდის ოპერაცია ავთენტიფიცირებული ან/და სწორად განხორციელებული იყო და რომ ტექნიკურ გაუმართაობას ან სხვა დეფექტს ოპერაციაზე გავლენა არ მოუხდენია. თუ მომხმარებელმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადა, ეს არ ათავისუფლებს პროვაიდერს ვალდებულებისაგან, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მომხმარებელს არაავტორიზებული ან არასწორად გადარიცხული თანხის დაბრუნებაში. (საქართველოს კანონი „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მუხლი 32)

უკანასკნელ პერიოდში SWIFT-ის ქსელში დაფიქსირებული რამდენიმე გახმაურებული კიბერინციდენტის საპასუხოდ, SWIFT-მა მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში შეიმუშავა SWIFT-ის მომხმარებელთა უსაფრთხოების კონტროლების ჩარჩო დოკუმენტი, სადაც აღწერილია ყველა ის ძირითადი ტექნიკური და პროცედურულ-ორგანიზაციული კონტროლის მექანიზმები, რაც უნდა დააკმაყოფილოს SWIFT-ში ჩართულმა ფინანსურმა ორგანიზაციებმა. SWIFT-ის მოთხოვნების სრულად

დასაკმაყოფილებლად, ეროვნული ბანკის ინფრასტრუქტურაში რიგი ღონისძიებები გატარდა. შედეგად 2018 წელს ეროვნულმა ბანკმა წარმატებით გაიარა ხელახალი თვითშეფასება SWIFT-ის მომხმარებელთა უსაფრთხოების კონტროლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით. ამასთან 2018 წელს ეროვნულ ბანკში განახლდა SWIFT-ის ძირითადი სისტემის ვერსია. აღნიშნული განახლებით მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა საგადახდო დავალების ფორმატში, რომელიც 2018 შეტყობინების სტანდარტში აისახა. ფორმატის ცვლილება გულისხმობდა ორი ველის დამატებას, რომლის საშუალებითაც უფრო მარტივი ხდება საგადახდო დავალების კვალის მიდევნება, ანუ ნებისმიერ მომენტში მისი ადგილმდებარეობისა და სტატუსის დადგენის შესაძლებლობა. აღნიშნული ცვლილების გამო აუცილებელი გახდა შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულიყო ძირითად საბანკო სისტემასა და რეზერვების მართვის სისტემაში. (2018 წლის წლიური რეპორტი)

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილულია RTGS სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და განმასხვავებელი ნიშნები, ასევე საქართველოში აღნიშნული სისტემის დანერგვის და განვითარების ტენდენციები. კანონმდებლობის საფუძველზე, გაანალიზებულია გადარიცხვების განხორციელების მექანიზმი. ასევე კანონმდებლობითაა განსაზღვრული სისტემის მომხმარებლის და პროვაიდერის უფლებები და მოვალეობები. საგადახდო სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარე ასრულებდეს თავის მოვალეობას. ამასთანავე გაანალიზებულია, ის ცვლილებებები, რომლებიც ბოლო წლებში განხორციელდა სისტემის სრულყოფილი მუშაობისთვის. პრაქტიკული კუთხით, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემის საოპერაციო დროის გაზრდას. ერთი შეხედვით, ერთი საათით გახანგრძლივება შესაძლოა დიდი ცვლილება არ ჩანდეს, მაგრამ რეალურად მომხმარებელისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იძლევა საშუალებას, რომ მოცემულ დღეს დამუშავდეს ტრანზაქციების უფრო დიდი რაოდენობა.

2.2 გადარიცხვების თანამედროვე ტენდენციები და სტატისტიკური ინფორმაცია

2002 წლიდან მოყოლებული RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები მზარდი ტენდენციით ხასიათდება როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად. 2002 წელს ჯამური თანხა მხოლოდ 5,138,332,021.10 ლარი იყო, 2018 წელს კი თანხამ 186,401,973,943 ლარს მიაღწია.


ცხრილი 2.2 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები 2002-2018 წლებში

წელი	რაოდენობა	თანხა
2002	2,220,707	5,138,332,021.10
2003	2,105,360	6,383,605,925.53
2004	2,242,074	10,709,481,141.99
2005	2,677,759	12,692,839,296.00
2006	4,227,107	19,358,817,137.00
2007	5,110,245	36,609,103,120.26
2008	5,249,632	51,950,426,524.88
2009	5,756,658	33,925,703,506.15
2010	7,267,642	75,342,338,891.55
2011	10,275,066	80,971,043,244.05
2012	11,165,041	125,721,752,334.88
2013	12,801,412	129,461,151,413.23
2014	15,194,772	130,858,419,848.54
2015	19,257,892	134,979,218,632.86
2016	20,489,430	129,552,290,175.56
2017	21,841,349	153,720,663,204.16
2018	24,558,130	186,401,973,943

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=599>

მეტი თვალსაჩინოებისთვის მონაცემები დიაგრამაზეც შეიძლება განვიხილოთ.

დიაგრამა 2.1 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები 2002-2018 წლებში



2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ 1 თვის მონაცემები. იანვრის თვეში შესრულდა 1,857,889 გადარიცხვა, რომელთა ჯამური თანხაა 19,961,074,472 ლარი. განხორციელებული გადარიცხვების საშუალო დღიური რაოდენობა არის 9,935.24, ხოლო თანხობრივად საშუალო დღიური მაჩვენებელი შეადგენს 106,743,713.75 ლარს.

ცხრილში ნაჩვენებია გადარიცხვების რაოდენობის და თანხების ყოველთვიური მაჩვენებლები 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით. მონაცემები ყოველი თვისთვის დაახლოებით ერთნაირია და დიდი რყევებით არ ხასიათდება.


ცხრილი 4.3 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2018-2019 წწ)

	რაოდენობა	თანხა
იანვარი	1,545,514	14,291,003,148
თებერვალი	1,728,812	11,449,060,575
მარტი	1,912,331	14,655,565,052
აპრილი	1,882,384	13,764,287,970
მაისი	2,044,298	15,260,917,743
ივნისი	2,013,827	14,389,116,647
ივლისი	2,109,554	16,162,212,210
აგვისტო	2,096,599	17,541,996,013
სექტემბერი	2,116,742	14,317,093,406
ოქტომბერი	2,414,719	16,134,704,675
ნოემბერი	2,107,372	16,184,280,768
დეკემბერი	2,585,978	22,251,735,737
იანვარი	1,857,889	19,961,074,472

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=599>

ცხრილში მოცემული ინფორმაცია თვალსაჩინოდ ჩანს გრაფიკულად.

დიაგრამა 2.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2018 -2019წწ)



მთლიანობაში, RTGS სისტემით განხორციელებული გადახდები საქართველოში საკმაოდ მსხვილ მასშტაბებს აღწევს და უფრო და უფრო იზრდება. შედარებისთვის, 2017 წელს განხორციელებული იყო 21,841,349 გადარიცხვა, 2018 წელს კი - 24,558,130, ზრდამ შეადგინა 12%. თანხობრივად, 2017 წელს განხორციელდა 153,720,663,204.16 ლარის გადარიცხვები, 2018 წელს - 186,401,973,943 ლარი, ზრდამ შეადგინა 21%. საკმაო ზრდა ფიქსირდება 2018 და 2019 წლების შედარებითაც. თუ შევადარებთ ამ ორი წლის იანვრის მონაცემებს 2018 წლის იანვარში განხორციელებული იყო 1,545,514 გადარიცხვა, 2019 წლის ამავე პერიოდში კი - 1,857,889, ზრდამ შეადგინა 20%. თანხობრივად, 2018 წლის იანვარში განხორციელებული იყო 14,291,003,148 ლარის გადარიცხვები, 2019 წლის ამავე პერიოდში კი - 19,961,074,472 ლარის, ზრდამ შეადგინა 40%.

2017 წელსაც დაფიქსირებული RTGS სისტემით დამუშავებული ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებლების მაღალი ზრდა განპირობებული იყო ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის გადარიცხვების თანხის მატებით. ამის საპირისპიროდ, 2018 წელს RTGS სისტემით განხორციელებული ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებლების ზრდის ძირითადი მიზეზი იყო, ერთი მხრივ, ბანკთაშორისი გადარიცხვების (17 პროცენტის მატება 2017 წლის მონაცემებთან შედარებით), ხოლო, მეორე მხრივ, კომერციულ ბანკებსა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის (43 პროცენტის მატება 2017 წლის მონაცემებთან შედარებით) გადარიცხვების თანხის ბრუნვის ზრდა. თავის მხრივ, RTGS სისტემით განხორციელებული ბანკთაშორისი გადახდების თანხობრივი მაჩვენებლის ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო კლიენტის მიერ განხორციელებული გადახდების ბრუნვის ზრდით (20 პროცენტის მატება 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).

განხილული სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზების შედეგად აშკარად ჩანს, რომ სისტემა ზრდის ტენდენციით ხასითდება. მნიშვნელოვნად იზრდება როგორც ტრანზაქციების რაოდენობა, ისე მოცულობა. ეს მიუთითებს რომ მოხდა საგადახდო სისტემის განვითარება. ქვეყანაში შეიცვალა ანგარიშსწორების ფორმები. ნაღდი

ანგარიშსწორება ჩაანაცვლა უნაღლო ანგარიშსწორებით. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომერციული ბანკების განვითარება, მათი ცნობადობის და სანდოობის ზრდაც.

ამრიგად, საქართველოში არსებულ RTGS სისტემას მრავალი უპირატესობა გააჩნია. პირველ რიგში იგი წარმოადგენს დაცულ სისტემას, რომლის დიზაინი შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ სისტემაში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები როგორცაა: სამუშაო საათებში გადახდის სისტემის უწყვეტობა, ანგარიშსწორების საბოლოობის უზრუნველყოფა, (RTGS სისტემა ტექნიკურად უზრუნველყოფს გადახდების უპირობო და გამოუთხოვად ანგარიშსწორებას უწყვეტად დღის განმავლობაში), სისტემის მონაწილეებისთვის ცენტრალური ბანკების ლიკვიდობის საშუალებების ხელმისაწვდომობა (ბანკებს საშუალება აქვთ ისარგებლონ RTGS სისტემის დღის შიდა ლიკვიდობის საშუალებით). ნაკლოვანებად კი მხოლოდ ის შეიძლება განვიხილოთ, რომ მოითხოვს მაღალ ლიკვიდურობას.

თავი 3. გადარიცხვები რეალურ დროში „სს ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე

3.1 სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს გადარიცხვების სისტემა

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმებმა. ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციები თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა გადარიცხვებმა. ეს ეხება როგორც ადგილობრივ გადახდებს, ასევე საერთაშორისო ანგარიშსწორებას. აღნიშნულს განხილავ საქართველოში ოპერირებადი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს¹⁴ მაგალითზე.

ენერგო-პრო ჯორჯია არის ჩეხეთის რესპუბლიკის კომპანიის „ენერგო-პრო ეი-ესის“ სრულ მფლობელობაში. კომპანიამ საქართველოს ენერგოსექტორში საქმიანობა 2007 წლის 29 ივნისს დაიწყო. აბონენტების რაოდენობისა და მომსახურების არეალის გათვალისწინებით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ წარმოადგენს ერთერთ ყველაზე დიდ ენერგოკომპანიას ამიერკავკასიის რეგიონში. კომპანია ემსახურება 1 200 000-ზე მეტ აბონენტს საქართველოს რეგიონების მასშტაბით. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოში, რომელსაც დასაქმებული 6000-მდე პროფესიონალი ჰყავს. წლებია კომპანია შედის იმ კომპანიების ათეულში, რომლებიც ახორციელებენ ყველაზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საქართველოში. მხოლოდ 2018 წელს მან განახორციელა 82 მლნ ლარის ინვესტიცია, ხოლო 2019 წელს 79.6 მილიონი ლარის ინვესტიციას გეგმავს. ენერგო-პრო ჯგუფში შემავალი კომპანიაა „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, რომელიც ამჟამად ფლობს და ამუშავებს 15 საშუალო და მცირე ზომის

¹⁴ შემდგომში ნახსენები როგორც EPG

ჰიდრო ელექტრო სადგურებს. ენერგო-პრო ჯგუფი აგრეთვე ფლობს და ამუშავებს გარდაბნის გაზის ელექტროსადგურს შპს "ჯი ფაუნდ".¹⁵

ზოგადად არაფულადი გადახდების სასიცოცხლო წრე 6 ძირითადად ეტაპად იყოფა, რომლებიც თეორიულ ნაწილში განხილულია. ახლი კი განვიხილოთ თუ როგორ ხდება ეს რეალურად:

პირველ ეტაპზე ხდება გადახდის ინსტრუმენტის არჩევა და გადახდის ინიცირება. ეს არის ტექნიკური საშუალება ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ახდენს საგადახდო დავალების ინიცირებას. საბანკო გადარიცხვის განხორციელებულის დროს ამ ეტაპზე ხდება საგადახდო დავალების შექმნა.

მეორე ეტაპი არის ბანკის შიდა დამუშავება. საგადახდო დავალების შექმნის შემდეგ ბანკი ამოწმებს თუ რამდენად არის შესაძლებელი ტრანზაქციის განხორციელება ტექნიკურად და სამართლებრივად, არის თუ არა ანგარიშზე საკმარისი თანხა. ბანკი გადარიცხვას შიდა სისტემაში აღრიცხავს და ამუშავებს.

მესამე ეტაპზე ხდება გადარიცხვის ბანკთაშორისი გადამუშავება. მაგალითად, თუ გადარიცხვა ხორციელდება და თიბისი ბანკიდან საქართველოს ბანკში ამ ეტაპზე ხდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა.

მეოთხე ეტაპზე ხდება გადარიცხვის ბანკთაშორისი ანგარიშსწორება. ამ დროს გამგზავნი ბანკის ანგარიშიდან (ჩვენს შემთხვევაში თიბისი ბანკის) ხდება თანხის გადარიცხვა მიმღების (ამ შემთხვევაში საქართველოს ბანკის) ანგარიშზე.

მეხუთე ეტაპზე უკვე მიმღების ბანკი ამუშავებს გადახდას და ახდენს მიმღების ანგარიშის თანხის ასახვას.

მეექვსე, საბოლოო ეტაპზე კი გადარიცხვა უკვე შესრულებულია და ორივე მხარეს შეუძლია საგადახდო დავალების და ამონაწერის ამოღება.

¹⁵ წყარო - www.energo-pro.ge

აღნიშნული ეტაპები ერთი შეხედვით ბევრია და მათ განხორციელებას დიდი დრო უნდა დაჭირდეს მაგრამ რეალურად ამ პროცესს საკმაოდ ცოტა დრო სჭირდება. საქართველოში ანგარიშსწორების დროს ბანკის შიდა გადარიცხვა, ანუ როდესაც თანხა ირიცხება იმავე ბანკის ანგარიშზე, მომენტალურად ხორციელდება. ხოლო თანხის სხვა ბანკის ანგარიშზე გადარიცხვა შედარებით მეტ დროს მოითხოვს, მაგრამ ისიც აისახება იმავე სამუშაო დღეს. ამ შემთხვევაში გადარიცხვის დადასტურება უნდა მოხდეს 18:00 საათამდე. ამ დროის შემდეგ ბანკში გაგზავნილი ბანკთაშორისი გადახდები მუშავდება შემდეგ სამუშაო დღეს.

გადახდები მასში მონაწილე პირების მიხედვით იყოფა საბითუმო გადახდებად და გადახდებად არაფინანსურ ინსტიტუტებს შორის. საბითუმო გადახდებს მიეკუთვნება გადახდები მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტებს შორის. ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ განხორციელებული გადახდები კი მიეკუთვნება მეორე ტიპს. მას როგორც არაფინანსურ კორპორაციას გადარიცხვები აქვს სახელმწიფო ბიუჯეტში, სამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა არაფინანსურ კორპორაციებთან, კერძო შინამეურნეობებთან და სხვ.

მასში მონაწილე პირების რიცხვის მიხედვით გადახდები 3 ძირითად ჯგუფად ჯგუფდება: ერთი ერთზე გადარიცხვა (one-to-one transaction), ერთი მრავალს ტიპის ტრანზაქცია (one-to-many transactions) და მრავალი ერთს ტიპის ტრანზაქცია (many-to-one transactions).

one-to-one transaction -ის ტიპის გადარიცხვები არის ძალიან ბევრი. ეს არის ნებისმიერი გადარიცხვა, რომელიც ხორციელდება კომპანიებს შორის საქონლის შესყიდვის, მომსახურების გაწევის დროს. ენერგო-პროს მაგალითზე ასეთ გადარიცხვას წარმოადგენს რომელიმე ჰესისთვის თანხის გადახდა მოწოდებული ელ.ენერგიის სანაცვლოდ, მაღაზიისთვის თანხის გადახდა მოწოდებული ინვენტარისთვის. ასევე რომელიმე კომპანიისთვის თანხის გადარიცხვა, რომელმაც განხორციელა მაგალითად ქვესადგურის რეაბილიტაცია, შენობის რემონტი და ა.შ.

one-to-many transactions-ის ტიპის გადარიცხვების დროს ერთი გადამხდელი უხდის თანხებს მრავალ მიმღებს. ენერგო-პროს მაგალითზე აღნიშნულის ყველაზე ნათელი

მაგალითია ხელფასების გადახდა. ენერგო-პრო ჯორჯიაში დასაქმებულია 6000-ზე მეტი ადამიანი. მათთვის ხელფასის გადახდა ხდება ბანკში ერთიანი სახელფასო უწყისების ატვირთვის გზით ჯგუფური გადარიცხვების მოდულიდან. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ბანკებიდან, რომლებიც ენერგო-პროს უწევენ მომსახურებას ამის ტექნიკური საშუალება მხოლოდ ორ ბანკს გააჩნია. გადარიცხვების დაჯგუფებაც ამ ნიშნის მიხედვით ხდება. კომპანია მაქსიმალურად ცდილობს დასაქმებულს იმ ბანკიდან ჩაურიცხოს თანხა, სადაც თავად აქვს ანგარიში, რათა მალე მოხდეს მის ანგარიშზე თანხის ასახვა. იმ შემთხვევაში თუ, მიმღებს ანგარიში ამ ორიდან განსხვავებულ ბანკში აქვს ამის გათვალისწინება ვეღარ ხერხდება, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია ამდენი გადარიცხვის ინდივიდუალურად მომზადება. აღნიშნული ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს და არარელევანტურია.

many-to-one transactions -ის ტიპის გადარიცხვები განსაკუთრებით ბევრია ენერგო-პროს შემთხვევაში ორგანიზაციის სპეციფიკაციიდან გამომდინარე. ან ტიპის გადახდების დროს მრავალი გადამხდელი უხდის თანხებს ერთ მიმღებს. ასეთი ტიპის გადახდებად ყველაზე ხშირად განიხილება კომუნალურები, რაც ზუსტად ესადაგება ენერგო-პრო ჯორჯიასთვის ელ. ენერჯის საფასურის გადახდას. ამ კომპანიის შემთხვევაში აბონენტებისგან მიღებული შემოსავლები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: მსხვილ აბონენტებად და მოსახლეობად. მსხვილ აბონენტებს მიეკუთვნებიან მსხვილი კომერციული აბონენტები: ორგანიზაციები, ქარხნები, სასტუმროები და სხვ. მსხვილი აბონენტები ანგარისშწორებას ახდენენ პირდაპირ კომპანიის რომელიმე ანგარიშზე გადმორიცხვის გზით. მოსახლეობა და შედარებით პატარა ორგანიზაციების გადახდების ადმინისტრირება კი ხორციელდება ერთ-ერთი საკლირინგო ორგანიზაციის ¹⁶ დახმარებით. მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია ახდენს დისტანციური არხებით, სწრაფი გადახდის აპარატებით, ელექტრონული გადახდების ბანკში განხორციელებული თანხების აკუმულირებას და მის ყოველდღიურად ერთიანად ჩარიცხვას ენერგო -პროს ანგარიშზე. აღნიშნული სასიკეთოა ენერგო-პროსთვის, რადგან ურთიერთობა აღარ აქვს მრავალ პროვაიდერთან და უფრო სწრაფად ახდენს საკუთარი

¹⁶ შემდგომში ნახსენები როგორც კომპანია

ფულადი სახსრების მობილიზებას. ეს მომსახურება ასევე მომგებიანია აბონენტებისთვის. ტექნიკური სპეციფიკაციების გაწერის შედეგად კომპანიის არხით შემოსული თანხები ავტომატურად აისახება EPG-ს ბილინგის პროგრამაში და შესაბამისად აბონენტების ბარათებზე. პირდაპირ კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში კი ასახვას სჭირდება გარკვეული დრო, რადგან ხელით ხდება შემოსული თანხების დამუშავება. ამ პროცესში კი ძირითადად ჩართულია ორი განყოფილება : ბუღალტერია და ბილინგი. ენერგო -პროს ასევე ხელშეკრულებების გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რამოდენიმე ქალაქის მერიასთან, რომელთა საფუძველზეც საკუთარ სპეციალურად გამოყოფილ ანგარიშებზე ახდენს დასუფთავების თანხების აკულირებას და შემდგომ ანგარიშსწორებას. აღნიშნული მომსახურების გაწევა შესაძლებელია იმიტომაც, რომ საქართველოში ელ.ენერჯის და დასუფთავების გადასახადები ერთმანეთზეა მიბმული და მათი დაბეჭდვაც ერთ ქვითარზე ხდება.

EPG-ში გადარიცხვები ხორციელდება საბანკო სისტემაში საგადახდო დავალებების ატვირთვის გზით. კომპანიას ურთიერთობა აქვს საქართველოში ოპერირებად 6 ბანკთან. მომსახურების პირობები რეგულირდება თითოეულ მათგანთან გაფორმებული საოპერაციო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი მომსახურების პირობები, ტარიფები და სხვ. ბევრ ბანკში ანგარიშების ფლობა კომპანიას ანიჭებს მეტ მოქნილობას და ლიკვიდურობას. მას აქვს საშუალება ყოველი მომსახურების საჭიროების დადგომის დროს ისარგებლოს კონკურენციის უპირატეობისობებით და არჩევანი გააკეთოს იმ ბანკებზე, რომლებიც უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ. გადარიცხვებს კომპანია ძირითადად ახორციელებს 2 ბანკიდან, ხოლო დანარჩენ ბანკებში ხდება თანხების ჩარიცხვა. გადარიცხვის მომზადება ტექნიკურად შემდეგნაირად ხდება: პირველ ეტაპზე კომპანიის ხაზინის განყოფილების თანამშრომელი ამზადებს საგადახდო დავალებას, მაგრამ იმისათვის იმისათვის რომ გადარიცხვა ბანკში დასამუშავებლად გაიგზავნოს აუცილებელია ორი დონის ვიზირება. მეორე დონეზე გადარიცხვას ავიზებს ხაზინის განყოფილების უფროსი, ხოლო პირველ დონეზე კომპანიის ფინანსური მენეჯერი ან გენერალური დირექტორი.

ენერგო-პროს მიერ ძირითადად განხორციელებული გადარიცხვები შეიძლება 3 ნაწილად. პირველი ეს არის ინდივიდუალური გადარიცხვები, მეორე - ჯგუფური გადარიცხვები და მესამე-ხელფასები.

ინდივიდუალური გადარიცხვების დროს ხდება თითოეული გადარიცხვის სათითაოდ აკრეფა, ატვირთვა და ვიზირება.

ჯგუფური გადარიცხვის დროს ხდება გადარიცხვების თემატურად დალაგება და ერთად პაკეტურად ატვირთვა. მაგალითად ერთ პაკეტში იტვირთება მხოლოდ კომუნალურები, მეორეში საბიუჯეტო გადარიცხვები და ა.შ.

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ხელფასები. მათი ატვირთვა ხორციელდება ბანკების მიერ მოწოდებული ექსელის ფაილების საშუალებით. აღნიშნული ტექნიკურად ისე არის გაწერილი რომ მოხდეს ბანკის მიერ მათი სწრაფი დამუშავება. როგორც აღვნიშნე, ენერგო-პროში დასაქმებულია 6000-მდე თანამშრომელი და ხელფასების ატვირთვის დროს ბანკის სისტემაში ხდება დიდი რაოდენობით ჩაყრა, რამაც სხვა ფორმატით ატვირთვისას შესაძლოა შეფერხება გამოიწვიოს.

გადარიცხვების მომზადების დროს ტექნიკურად განსხვავდება შემდეგი ტიპის გადარიცხვები:

- გადარიცხვა საკუთარ ანგარიშზე/კონვერტაცია;
- გადარიცხვა ბანკის ფილიალებში (ბანკის შიდა გადარიცხვა);
- გადარიცხვა სხვა ბანკში (ეროვნული ვალუტა);
- გადარიცხვა სხვა ბანკში (უცხოური ვალუტა);
- საბიუჯეტო გადარიცხვა.

ამ სხვადასხვა ტიპის გადარიცხვების მომზადების დროს განსხვავება მდგომარეობს აუცილებლად შესავსებ ველებში.

საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვის დროს ივსება მხოლოდ რომელი ანგარიშიდან რომელ ანგარიშზე ირიცხება თანხა, თანხა და დანიშნულება.

შიდა საბანკო გადარიცხვის მომზადების დროს ივსება:

- რომელი ანგარიშიდან ხდება გადახდა;
- მიმღების ანგარიში;
- მიმღების სახელი;
- მიმღების საგადასახადო კოდი;
- თანხა;
- დანიშნულება

სხვა ბანკში ეროვნული ვალუტის გადარიცხვის დროს:

- რომელი ანგარიშიდან ხდება გადახდა;
- მიმღების ანგარიში;
- მიმღების სახელი;
- მიმღების ბანკის სახელი;
- მიმღების ბანკის კოდი;
- მიმღების საგადასახადო კოდი;
- თანხა;
- დანიშნულება

სხვა ბანკში უცხოური გადარიცხვის განხორციელების დროს ივსება შემდეგი ველები:

- რომელი ანგარიშიდან ხდება გადახდა;
- მიმღების ანგარიში;
- მიმღების სახელი;
- მიმღების ქვეყანა;
- მიმღების მისამართი;
- მიმღების ბანკის კოდი;
- მიმღების ბანკის სახელი;
- თანხა;
- ხარჯის ტიპი;
- დანიშნულება.

უცხოურ ვალუტაში გადარიცხვები ხორცილდება SWIFT-ის სისტემის საშუალებით და ის თუ როგორ მოხდება გადარიცხვის განხორციელება, რა ველები იქნება სავალდებულო დამოკიდებულია SWIFT-ის მოთხოვნებზე. მაგალითად, ბოლო რამოდენიმე თვეა სავალდებულო ველებს დაემატა მიმღების მისამართი, იქამდე ეს ველი არასავალდებულოდ შესავსები იყო. უცხოური გადარიცხვის დროს გამგზავნს უფლება აქვს აირჩიოს შუამავალი ბანკიც , რომელიც განახორციელებს გადარიცხვას, მაგრამ ენერგო-პრო ამ ველს ცარიელს ტოვებს ხოლმე და ბანკი იღებს გადაწყვეტილებას. გადარიცხვის დროს ხარჯის ტიპი შეიძლება იყოს ორნაირი Share - მიმღები მიიღებს შუამავალი ბანკის საკომისიოთი ნაკლებ თანხას და OUR - მიმღები მიიღებს სრულ თანხას, გადარიცხვის საკომისიოს დაემატება გარკვეული თანხა. ეს თანხა როგორც წესი რეგულირდება ბანკთან გაფორმებული საოპერაციო ხელშეკრულებით, მაგრამ გარკვეული ღირებულება ყოველთვის აქვს. უცხოური გადარიცხვის დროს საგადახდო დავალებას ყოველთვის უნდა დაერთოს თან ხელშეკრულება ან ინვოისი, რათა ბანკმა შეამოწმოს რეკვიზიტები და გადარიცხვის მართლზომიერება.

საბიუჯეტო გადარიცხვის დროს შესავსები ველებია:

- რომელი ანგარიშიდან ხდება გადახდა;
- სახაზინო კოდი;
- თანხა;
- დანიშნულება;
- დამატებითი დანიშნულება

სახაზინო გადარიცხვის დროს დანიშნულების ველი ავტომატურად ივსება სახაზინო კოდის შევსების შემდეგ და ის ინფორმაცია, რომელიც გადამხდელს სურს რომ იყოს საგადახდო დავალებაში ასახული უნდა შეივსოს დამატებითი დანიშნულების ველში. მაგალითად , ძირითადი გადასახადები ყველაფერი მიდის ერთ სახაზინო კოდზე 101001000 - გადასახადების ერთიანი კოდი. იმისათვის რომ მოხდეს იდენტიფიცირება რომელი

კონკრეტული გადასახადის გადახდა ხდება ენერგო-პროს შემთხვევაში ყოველთვის დამატებით დანიშნულებში უთითებენ გადასახადის სახეს, არის ეს საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი თუ რომელიმე სხვა.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოში ფუნქციონირებადი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია იყენებს ყველა ტექნიკურ თუ ინოვაციურ საშუალებას გადარიცხვების საწარმოებლად რომლის საშუალებასაც იძლევა სისტემა. კომპანიაში დანერგილია ERP სისტემა ¹⁷ IFS. აღნიშნული სისტემა ინტეგრირებულია მომსახურე ბანკებთან და მისი საშუალებით ხდება გადარიცხვების განხორციელება. განხორციელდა სისტემაში საბანკო ამონაწერების ავტომატური ასახვის პროცედურის შემუშავება - ეს პროცესი ხორციელდება სამი ბანკის შემთხვევაში:

ზოგიერთი ბანკი ინტეგრირებულია IFS-ის პროგრამაში - ეს იმას ნიშნავს, რომ IFS-ში შემოწმებული და გადასარიცხად დადასტურებული დოკუმენტები ავტომატურად იტვირთება ინტერნეტ ბანკის სისტემებში და ხელით საგადახდო დავალების შექმნის აუცილებლობა აღარ არის. პროგრამაში ივსება ყველა ინფორმაცია გადარიცხვის შესახებ, რეკვიზიტები, დანიშნულება, გადარიცხვის მეთოდი, რომელი ბანკიდან უნდა მოხდეს გადახდა და შემდეგ ინფორმაცია ავტომატურად იტვირთება შესაბამის ბანკებში. აღნიშნული მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნიკურ მხარდაჭერას, როგორც კომპანიის მხრიდან ისე მომსახურე ბანკების. ამონაწერის დამუშავებაც იოლია - პროგრამა ამოიცნობს IFS-იდან გენერირებულ გადარიცხვებს და შესაბამის გატარებას თავად აკეთებს მომწოდებლის ბარათზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. გადარიცხვების კუთხით, რადგან პირველ რიგში ხდება სისტემურად გადარიცხვა, აღარ არის საჭირო ყველა მონაცემის ხელით შეტანა, რაც თავისთავად ამცირებს პოტენციური შეცდომების რაოდენობას. ასევე გაუმჯობესებულია აღრიცხვიანობა მთლიანად კომპანიის მასშტაბით.

კომპანია ანგარიშსწორებისთვის აქტიურად იყენებს სხვადასხვა ფორმებს , როგორც ადგილობრივ ბაზარზე ისე საერთაშორისო ანგარიშსწორების დროს. ყველაზე ხშირად

¹⁷ Enterprise Resource Planning - არის საწარმოს რესურსების დაგეგმვის პროგრამული გადაწყვეტა, რომელიც აერთიანებს კომპანიის ბიზნეს ფუნქციებსა და მონაცემებს ერთ სისტემაში.

გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება. EPG-ის მაგალითზე საავანსო ანგარიშსწორება უმეტესად ხდება საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორების პირობები ჩამოყალიბებულია მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ხელშეკრულების თანახმად, გარანტია, რომელსაც ენერგო-პრო მიიღებს აუცილებლად უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი. გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში ანგარიშსწორება შემდეგი მექანიზმით ხდება: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კონტრაქტორი ხელშეკრულების ასლთან ერთად მიდის ბანკში ან სადაზღვევო კომპანიაში და ითხოვს საბანკო გარანტიის აღებას. მას და ბანკს/სადაზღვევო კომპანიას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც გაიწერება მათი ურთიერთობის პირობები და ხელმოწერის შემდეგ ხდება საბანკო გარანტიის გაცემა. ამის შემდეგ კონტრაქტორს ორიგინალი დოკუმენტი მოაქვს EPG-ში. ენერგო-პრო განიხილავს დოკუმენტის შესაბამისობას ხელშეკრულებასთან და კონტრაქტორს ურიცხავს ხელშეკრულების ღირებულებიდან გარანტიის შესაბამის ავანსის წილს. ხელშეკრულების დასრულების შემდეგ კი საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ავანსის თანხის გამოკლებით.

საავანსო გარანტიის შედეგად ანგარიშსწორება მომგებიანია ორივე მონაწილე მხარისთვის. პირველ რიგში, ეს სასიკეთოა კონტრაქტორისთვის, რადგან მას შეუძლია ღირებულების ნაწილი მიიღოს წინასწარ, რითაც შეძლებს სამუშაოების დაწყებას. საავანსო გარანტიით ანგარიშსწორების დროს დამკვეთს/ ენერგო-პროსაც აქვს უპირატესობა, რადგან მას აქვს გარანტია, რომ კონტრაქტორი სრულად შეასრულებს სამუშაოს. იმ შემთხვევაში, თუკი კონტრაქტორი არაჯეროვნად შეასრულებს სამუშაოებს EPG დაზღვეულია, რადგან შეუძლია ხელშეკრულების თანხა გამოითხოვოს ბანკიდან/ სადაზღვევო კომპანიიდან და ისიც ვალდებულია რომ აანაზღაუროს.

3.2 ტრანზაქციების რაოდენობრივი ანალიზი სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოში ფუნქციონირებადი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა და ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, აისახება მის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციების

რაოდენობასა და მოცულობაზე. გადარიცხვები ყოველ დღე ხდება კომპანიის სხვადასხვა ანგარიშიდან, რაც საბოლოოდ წლიურ ჭრილში მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს. იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ შეიცვალა კომპანიაში გადარიცხვების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში ჩავატარეთ კვლევა. კვლევაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის მიერ შესრულებული გადარიცხვების შესახებ 2014-2019 წლებში. საკვლევ მასალად გამოყენებულია კომპანიის საბანკო ამონაწერები. კვლევა ეფუძნება შემდეგ დაშვებებს:

- განხილულია მხოლოდ 4 ბანკის მონაცემები
- განხილულია მხოლოდ ძირითადი ანგარიშები
- კვლევაში არ არის გათვალისწინებული ბანკი რესპუბლიკას მონაცემები, რადგან აღნიშნული ბანკი აღარ არსებობს და მის ამონაწერებთან წვდომა შეუძლებელია.
- 2019 წელს წარმოდგენილია მხოლოდ 5 თვის მონაცემები


კომპანია დინამიურად ვითარდება და მის მიერ განხორციელებული გადარიცხვებიც პროპორციულად იზრდება. ცხრილში მოცემულია მონაცემები 2014-2019 წლის გადარიცხვების რაოდენობის შესახებ:

ცხრილი 3.1 ტრანსფერების რაოდენობა 2014-2019 წლებში

წლები	ტრანსფერების რაოდენობა
2014	20,523.00
2015	62,998.00
2016	99,925.00
2017	90,792.00
2018	93,198.00
2019	34,858.00

მონაცემები თვალსაჩინოდ ჩანს გრაფიკზე:

დიაგრამა 3.1 ტრანსფერების რაოდენობა 2014-2019 წლებში



ტრანსფერების საერთო რაოდენობა 2014-2019 წლებში არის 402 294.00. როგორც ვხედავთ, 2014 წელს ტრანზაქციების საერთო რაოდენობა 20 523.00 , 2019 წლის მხოლოდ 5 თვეში კი რაოდენობამ 34 858.00 შეადგინა. ტრანზაქციების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირებულია 2016 წელს. საგულისხმოა, ტრანზაქციების რაოდენობის შემცირება 2017 წელს წინა წელთან შედარებით. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს გამოეყო და დამოუკიდებლად ფუნქციონირება დაიწყო სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-მ. ამის გამო, ენერგო-პრო ჯორჯიას გამოაკლდა ისეთი გადარიცხვები, რომლებიც, მაგალითად ემსახურებოდა ჰესების ფუნქციონირებას.


სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ხასიათდება დიდი მოცულობით უცხოური გადარიცხვებითაც. სავალუტო გადარიცხვები ძირითადად ხორციელდება ევროსა და დოლარში.

ცხრილი 3.2 ტრანსფერების რაოდენობა უცხოურ ვალუტაში

წლები	ტრანსფერების რაოდენობა(უცხოური ვალუტა)
2014	45.00
2015	133.00
2016	268.00
2017	185.00
2018	161.00
2019	49.00

ცხრილის თანახმად, საკვლევ წლებში განხორციელდა 841 უცხოური გადარიცხვა. თუმცა გადარიცხვების ეს რაოდენობა არ არის აბსოლუტურად სწორი, რადგან, როგორც კვლევის დაშვებებშიც არის მოხსენიებული წარმოდგენილი რიცხვები მიღებულია მხოლოდ ოთხი ბანკის საბანკო ამონაწერების დამუშავებით. უცხოური გადარიცხვა კი შეიძლება განხორციელდეს სხვა ბანკიდანაც იმის და მიხედვით, თუ რომელ ბანკში არის გადარიცხვის მომენტისთვის აკუმულირებული თანხა ან რომელი ბანკი სთავაზობს კომპანიას საუკეთესო კურსს თანხის კონვერტაციისთვის.

დიაგრამა 3.2 ტრანსფერების რაოდენობა უცხოურ ვალუტაში



გრაფიკის თანახმად, ყველაზე მეტი 268 უცხოური გადარიცხვა განხორცილდა 2016 წელს. ხოლო 2019 წლის 5 თვეში განხორციელებული უცხოური გადარიცხვების რაოდენობა კი 9%-ით აჭარბებს 2014 წელს განხორციელებული გადარიცხვების მთლიან მოცულობას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული მონაცემები ასახავს მხოლოდ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობასა და მოცულობას და არ უნდა მივიჩნიოთ რომ კომპანიიდან მოცემულ წლებში ზუსტად ამ რაოდენობის თანხის გასავალი აღირიცხა. კომპანია მთლიანობაში ფლობს 400-ზე მეტ ანგარიშს, მათ შორის ბიზნეს ბარათის ანგარიშებს, რეგიონის ანგარიშებსა და სხვა და სხვა მიზნობრივ ანგარიშებს სხვადასხვა ბანკებში ყოველდღიურად ხდება თანხების აკუმულირება სხვადასხვ ანგარიშებზე და შემდეგ მათი კომპანიის სხვა ანგარიშებზე გადატანა იმავე ან სხვა ბანკში. ასეთი ტრანზაქციები ჩათვლილია მოცემულ გამოთვლებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კომპანიიდან ამ მოცულობის თანხების გასავალი დაფიქსირდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დავუშვათ, რომ ერთ დღეს გადაწყდა, რომ 10 სერვის-ცენტრის მენეჯერს შეევესოთ მათ მფლობელობაში არსებული ბიზნეს ბარათები 1000-1000 ლარით, რომელსაც გამოიყენებენ გადაუდებელი საჭიროების დროს. ამისათვის საჭირო ხდება, რომ კომპანიის ერთ-ერთი მიმდინარე ანგარიშიდან განხორციელდეს 10 დამოუკიდებელი ტრანზაქცია და ჯამში ამ ანგარიშიდან გადარიცხება 10 000.00 ლარი. თუმცა, რეალურად ეს 10 000.00 ლარი ისევ კომპანიის მფლობელობაშია, მისი ხარჯვა არ მომხდარა და ისევ კომპანიის ბალანსზეა.

3.3 კვლევის შედეგები

განხორციელებული კვლევის შედეგი პირველ რიგში, ნათლად წარმოაჩენს, რომ საკვლევი ობიექტი სწორად იყო შერჩეული, რადგან განხილული სააქციო საზოგადოება არის მსხვილი კომპანია, რომელიც იყენებს თითქმის ყველა არსებულ რესურსს და დანერგილ ტექნოლოგიას გადარიცხების კუთხით. აქედან გამომდინარე, საშუალება მოგვეცა მრავალგვარ პროცესს დავკვირვებოდით. მეორე მხრივ, რადგან ენერგო-პროჯორჯია არის უცხოური ენერგო-პროჯგუფის წევრი, მას ურთიერთობა აქვს დედა კომპანიასთან - ჩეხეთში, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან და ოპერაციებს უცხოურ ვალუტაშიც ახორციელებს.

კვლევის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოიკვეთა. პირველ რიგში, კომპანიას გააჩნია ზრდის ტენდენცია, როგორც გადარიცხვების რაოდენობის კუთხით, ასევე თანხობრივად. კომპანიის ზრდასთან ერთად აღნიშნული დაკავშირებულია ზოგადად ბაზრის მოთხოვნების ზრდასთანაც. მაგალითად, თუ ადრე დიდ წილს პარტნიორებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება იკავებდა, დღეს ეს მეტწილად უნაღდო ანგარიშსწორებითა და გადარიცხვებითაა ჩანაცვლებული, თუმცა რიგ შემთხვევებში ნაღდი ანგარიშსწორების ფორმაც შენარჩუნებულია.

მეორე მხრივ, „ენერგო-პრო“-ს მაგალითზე შეიძლება დავინახოთ თუ როგორი მნიშვნელოვანია კომპანიისთვის გამართული პროგრამული უზრუნველყოფა და ERP სისტემის დანერგვა. „ენერგო-პრო“-ში IFS -ის დანერგვამ მდგომარეობის გაუმჯობესება მრავალი ასპექტით გამოიწვია, იქნება ეს საწყობის მართვა, HR მოდული თუ ბუღალტრული აღრიცხვა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადარიცხვების წარმოება. ამის შედეგად პროცესი გამარტივდა და დაიხვეწა. შემცირდა შეცდომების დაშვების ალბათობა და ამასთანავე, გადარიცხვების შემდგომი აღრიცხვის პროცესი არის უფრო გამარტივებული სხვადასხვა ფინანსური უწყისების წარმოების კუთხით. თუმცა ისეთი მსხვილი გადახდები, როგორცაა ხელფასები კვლავ ხელით ხდება. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მომსახურე ბანკებთან

აქტიური კომუნიკაციის მიუხედავად ვერ ხერხდება სრული ინტეგრაცია და მსხვილი გადახდების პროგრამის საშუალებით განხორციელება.

ისეთ კომპანიაზე დაკვირვების შედეგად, როგორც „ენერგო-პრო“-ა, ნათელი ხდება თუ როგორი მნიშვნელოვანია არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ერთ ბანკზე და გქონდეს საშუალება შექმნა კონკურენტული პირობები. ეს მნიშვნელოვანია რისკების დივერსიფიკაციის კუთხითაც. რაც უფრო მეტ ბანკთან გაქვს ურთიერთობა მით უფრო მარტივია ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა. თუნდაც, არის გარანტია, რომ ბანკის ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში სხვა ბანკის საშუალებითაც შეძლებ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას.

სხვადასხვა ბანკში ანგარიშების ფლობა მნიშვნელოვანია უცხოური ვალუტის შესყიდვის/გაყიდვის შემთხვევებშიც. ამ დროს კომპანიას შეუძლია მოლაპარაკებები აწარმოოს სხვადასხვა ბანკებთან და შემდგომ იქ განახორციელოს ოპერაცია, რომელიც უფრო კარგ და მისაღებ კურსს შესთავაზებს.

კომპანიის მიმართ რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ მან მაქსიმალურად უნდა შეამციროს ხელით განხორციელებული გადარიცხვების რაოდენობა. ამის შედეგად მოხდება მნიშვნელოვანი შრომითი და დროითი რესურსების გამოთავისუფლება, რისი გამოყენებაც შემდგომში უფრო ეფექტიანად შეიძლება. ასევე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ EPG საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმებიდან ძირითადად მხოლოდ საავანსო ანგარიშსწორებას იყენებს. ვფიქრობთ, კომპანიისთვის ხელსაყრელი იქნება თუ უფრო ხშირად გამოიყენებს დოკუმენტურ აკრედიტივს. პირველ რიგში, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობაში მისი გამოყენება ადვილად შეიძლება. ამასთანავე აღნიშნული ფორმა საქართველოშიც საკმაოდ განვითარებული. ბევრი ბანკი, მათ შორის ენერგო-პროს მომსახურე ბანკებიც, სთავაზობს თავის კლიენტებს აღნიშნულ მომსახურებას. აქედან გამომდინარე, კომპანიისთვის რეალური და ხელმისაწვდომია აღნიშნული მომსახურების პრაქტიკაში გამოყენება.

ენერგო-პროს მაგალითის განხილვა შესაძლოა სხვა შედარებით პატარა კომპანიებისთვისაც სასარგებლო იყოს, რადგან მათ თავად არ ჰქონდეთ იმდენი რესურსი და გამოცდილება, როგორც ასეთ დიდ კომპანიას, რომელიც წლებია ოპერირებს საქართველოს ბაზარზე.

დასკვნა

ანგარიშსწორების სისტემების გამართული ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებს. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პროცესში მნიშვნელოვანია განვითარებული ანგარიშსწორების სისტემის ფლობა. თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებული ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმების და მეთოდების დანერგვა და ათვისება. ეს თავის მხრივ იძლევა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირების საშუალებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა.

საქართველოში არსებულ RTGS სისტემას მრავალი უპირატესობა გააჩნია. პირველ რიგში იგი წარმოადგენს დაცულ სისტემას, რომლის დიზაინი შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ სისტემაში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები როგორცაა: სამუშაო საათებში გადახდის სისტემის უწყვეტობა, ანგარიშსწორების საბოლოობის უზრუნველყოფა, (RTGS სისტემა ტექნიკურად უზრუნველყოფს გადახდების უპირობო და გამოუთხოვად ანგარიშსწორებას უწყვეტად დღის განმავლობაში), სისტემის მონაწილეებისთვის ცენტრალური ბანკების ლიკვიდობის საშუალებების ხელმისაწვდომობა (ბანკებს საშუალება აქვთ ისარგებლონ RTGS სისტემის დღის შიდა ლიკვიდობის საშუალებით). ნაკლოვანებად კი მხოლოდ ის შეიძლება განვიხილოთ, რომ მოითხოვს მაღალ ლიკვიდურობას.

ნაშრომში საქართველოს საგადახდო სისტემა განხილულია საქართველოში ფუნქციონირებადი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მაგალითზე.

კვლევამ გვიჩვენა, რომ:

- საერთაშორისო გადარიცხვების სტანდარტები ყველა ბანკს ერთმანეთისგან განსხვავებული აქვს. რაც ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელს უწევს მოერგოს ერთი ტიპის გადარიცხვის რამდენიმე წესს. რაც თავის მხრივ იწვევს შეცდომების და გადარიცხვის მომზადების დროის ზრდას;

- საქართველოში არსებული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ, რომ მოერგონ მომხმარებლის მოთხოვნილებებს. მაგალითად ენერგო-პრო ჯორჯიას შემთხვევაში, ბანკებთან კონსულტაციის და მოთხოვნის მიუხედავად ხელფასების გადარიცხვა კვლავ ხდება ხელით და არ არის ინტეგრირებული ERP სისტემასთან;
- საქართველოში არსებული ბანკები მომსახურების ხარისხით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან;
- ენერგო-პრო ჯორჯიაში რიგი ანგარიშსწორება ჯერ კიდევ ნაღდი ფულით ხორციელდება.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ანგარიშსწორების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა: საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი, რომელსაც ყველა ბანკი დაექვემდებარება, რაც უფრო მოხერხებულს გახდის საერთაშორისო გადარიცხვებს; მნიშვნელოვანია ბანკების მაღალ-ტექნოლოგიური განვითარება, რომ შეძლონ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება; საჭიროა ბანკებს შორის კონკურენციის გაზრდა და ამის ხელშეწყობა. რეალურად, დღეს მოქმედი ბანკებს შორის მხოლოდ ორ წამყვან ბანკს შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს სრულყოფილი მომსახურება, სხვებს გარკვეული შეზღუდვები გააჩნიათ. რაც შეეხება ენერგო-პრო ჯორჯიას, სასურველია, ანგარიშსწორება 100%-ით დაექვემდებაროს უნაღდო ფორმას და მოხდეს ERP სისტემასთან სრული ინტეგრაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაციტაძე კახაბერი, დისერტაცია თემაზე „სავალუტო ურთიერთობები საბანკო სფეროში: დასავლური გამოცდილება და თანამედროვე რეალობა“ , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2006;
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., -„თანამედროვე საბანკო საქმე:თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014;
3. საგადასახადო სისტემები <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=110>;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება #166 „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 15 ;
https://www.saras.gov.ge/Content/files/IFRS-FASS/2017/2017_IFRS_15.pdf
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში;
7. საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის წლიური ანგარიში;
8. საქართველოს კანონით „ საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“;
9. საგადახდო სისტემა და მისი მნიშვნელობა , ნატალია ჭყობიძე, „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2014წ.;
10. Fedwire Funds Service—Annual
https://www.federalreserve.gov/paymentsystems/fedfunds_ann.htm;
11. Fedwire Funds Service 2018 Fee Schedules;
<https://www.frbservices.org/resources/fees/wires-2018.html>;
12. Fedwire Funds Service Format Reference Guide
<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.445.7645&rep=rep1&type=pdf>;
13. Fedwire Funds Service Format Reference Guide, November 19, 2011
<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.445.7645&rep=rep1&type=pdf>;

14. Financial Messaging Services
<https://www.swift.com/about-us/discover-swift/messaging-standards?tl=en#Financialmessagingervices>
15. Financial Products and Services for Confident Trading and Investing;
<https://www.thomsonreuters.com/en/products-services/financial.html>;
16. How the SWIFT System Works, Shobhit Seth, May 29, 2019
<https://www.investopedia.com/articles/personal-finance/050515/how-swift-system-works.asp>;
17. Reuters News Agency
<https://www.britannica.com/topic/Reuters>;
18. Reuters Products
<https://www.refinitiv.com/en/products>;
19. SWIFT FIN Traffic&Figures
<https://www.swift.com/about-us/swift-fin-traffic-figures#topic-tabs-menu> ;
20. Payment Systems in EURO area, CPSS, 2003
<https://www.bis.org/cpmi/paysys/ecbcomp.pdf>;
21. Payment Systems in United States , CPSS. Red Book ,2003
<https://www.bis.org/cpmi/paysys/unitedstatescomp.pdf> ;
22. What's the difference between an IBAN and a SWIFT code?
<https://www.investopedia.com/ask/answers/100214/whats-difference-between-iban-and-swift-code.asp> ;
23. Hackers stole \$6 million from Russian Bank via SWIFT system, Jack Stubbs. 16 February 2018
<https://www.reuters.com/article/us-russia-cyber-swift/hackers-stole-6-million-from-russian-bank-via-swift-system-central-bank-idUSKCN1G00DV>;
24. Bangladesh Bank Attackers Hacked SWIFT Software April 25, 2016
<https://www.bankinfosecurity.com/report-swift-hacked-by-bangladesh-bank-attackers-a-9061>;
25. Three years on from Bangladesh, Tackling the adversaries , SWIFT ISAC Report, April 2019

26. Real-Time Gross Settlement (RTGS), Adam Barone, 29 Apr.2019)
<https://www.investopedia.com/terms/r/rtgs.asp> ;
27. Payments, Securities and derivatives, And The Role of The Eurosystem, Tom Kokkola, European Central Bank, 2010 ;
28. საქართველოს ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი
<https://bankofgeorgia.ge/retail/ge/business/guarantees> ;
29. თიბისი ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი;
<https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/fees-for-legal-entities> ;
30. ვითიბი ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი
31. <http://ge.vtb.com.ge/corporate/documentary/loc/> ;
32. ტერა-ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი
<https://terabank.ge/ge/business/trade-operations/bank-guarantee> .